ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 89

1877—1905

№ 89

ოთხშაბათი, 1 ივნისი

ოთხშაბათი, 1 ივნისი

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**გაზეთის ფასი** დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მასკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

## რედაქციისაგან

### „ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

### პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი:** 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

---

**პელაგია** (იგივე ძაბუ) **ჩიქოვანისა, თ-დ დგებუაძის ასული** აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, ოთხს ივნისს, დაბა ახალ-სენაკში, შხეფის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, დანიშნულია ორმოცის დღის გამოტირილი და წირვა-პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის მეუღლისა თვისისა კოლლეჟსკი სეკრეტრის

### ნიკოლოზ მანუჩარის ძის ჩიქოვანისა.

მასთანავე მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა მისს მწუხარებაში. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. (1—1)

---

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

### სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

**ტფილისის ექიმები.**

კბილის ექიმი

**ივანე პ. ახალშენიშვილი**

**გადავიდა:** ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

**ვაწაძე სფირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კორუბის ქუჩა, № 91.

**ბესარიონ პ** [illegible] ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ გადავიდა მიხეილის ქუჩაზე, № 97.

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**მ. ჟ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აშეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ—ქალის.და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი**—1—1$^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1$^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1$^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**პ. ა. არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

წლ.

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

ას წელიწადზე მეტია, რაც საარაკო ცუდ პირობებში ვართ ჩაყენებული. ყოველივე ნაბიჯი ხალხის მხრით, რასაც-კი საერო ნიშან-წყალი ეტყობა, იდევნება, იხშობა. ვერ შევქმენით ვერც ერთი დაწესებულება, სადაც ცოტაოდენ თავისუფლად სული მოგვეთქვა. რუსეთის ბიუროკრატია მთელის თავის ძლიერებით დააწვა ჩვენ ხალხს კისერზე და შეუბრალებლად დაუწყო ქლევა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ხალხი დაუძლურდა, შემოქმედებითი ძალა დასუსტდა და მისი ნორმალური განვითარება და დაუბრკოლებელი წინსვლა შეუძლებელი შეიქმნა.

ასეთ პირობებში ორიოდე საზოგადო დაწესებულება ძლივს გაგვიჩნდა. ამ დაწესებულებათა შორის არა უკანასკნელი ადგილი ეკუთვნის ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას. ცხადია, მის დამაარსებელთ აზრად ჰქონდათ, შეექმნათ ისეთი სკოლა, რომელიც ცოტაოდნად მაინც ნორმალურად მოწყობილი იქნებოდა, ცოტაოდნად მაინც შეასუსტებდა ბიუროკრატიის-მიერ შექმნილ სისტემის სისასტიკეს და ახალთაობას საზოგადოებისთვის სასარგებლო მიმართულებას მისცემდა. აგერ, მეოთხედი საუკუნეა, რაც სკოლა არსებობს; არა ერთი თაობა გაწვრთნა ამ ჩვენმა სკოლამ. მერე რას ვხედავთ?

მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ, დააკვირდით ჩვენს საზოგადო ცხოვრებას: სად არიან ის ყმაწვილები, რომელნიც ამ სკოლამ აღზარდა? რომელ საზოგადოებრივ სარბიელზე იჩინეს იმათ თავი? სადაა მათი ნამოქმედარი?

მხოლოდ გულ-საკლავი პასუხია ამ კითხვებისა: არსად, ვერც ერთ დაწესებულებაში, ვერც ერთ საზოგადოებრივ სარბიელზე თქვენ ვერ შეამჩნევთ მათს მოღვაწეობას. ცხადია, სკოლა ისეთ პირობებში ყოფილა, რომ მას წამლად ვერ უხნავს, მას ვერ მოუხერხებია ცოტაოდნად მაინც გამკლავებოდა თანამედროვე გამანადგურებელ პირობებს, მას ვერ უმუშავნია საზოგადოების საკეთილდღეოდ. ეს ცხადზე უცხადესია.

და თუ ეს მართალია,—ვალდებულნი ვართ ჩავფიქრდეთ, ვალდებულნი ვართ გამოვეძიოთ ყველა ის მიზეზები, რომელიც კულტურულ დაწესებულებას თავის ძალას ართმევს, აღორძინების მაგიერ, დაჩანაკებას და დაუძლურებას იწვევს.

დღემდის იმდენი დაიწერა და ითქვა საზოგადოდ რუსულ სკოლის შესახებ, რომ მისი უვარგისობა და სიდუხჭირე ყველასათვის აშკარაა. რასაკვირველია, ის პირობები, რომელიც ჰხუთავდნა რუსულ სკოლას, ჩვენს სკოლაშიაც მოქმედებდა, ჩვენს სკოლასაც ასუსტებდა. ჩვენში ამგვარ პირობათა გავლენა უფრო უარესიცაა. თუ რუსული სკოლა მოზარდ თაობას შემოქმედებით ძალას აცლიდა თავის გამათახსირებელ სისტემით, ჩვენ კიდევ უფრო შავ ბედს გვაყენებდა უცხო ენის გამეფება სკოლაში ისეთი მძიმე ტვირთია, რომ აქ ნორმალურ განვითარებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. სამშობლო ენის მნიშვნელობა იმდენად დიადია აღზრდის საქმეში, რომ საკმაოა მისი უარ-ყოფა, მისი აბუჩად აგდება, რომ სკოლა ტანჯვისა და გონებრივ განადგურების დაწესებულებად გადაიქცეს. ამნაირად, ჩვენი სკოლა ორკეცად ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი შეცდომა იქმნება, რომ ყველა მისი ნაკლი სულ გარეშე ძალებს მივაწეროთ,—თავის სიგლახის სხვისი სიავით გამართლება ადვილი საქმეა, მაგრამ სწორი და მართალი მაინც არაა. ასეთი თავის გამართლება თავის მოტყუილებაა, რაიცა ხელს უშლის ჩვენს შეცდომათა გამომჟღავნებასა და მერმისში უფრო ნაყოფიერ გზის გაკვალვას.

ჩვენში სათავად-აზნაურო სკოლასთან ერთად არსებობს სახელმწიფო სასწავლებლებიც. პროგრამით რომ შევადაროთ, სათავად-აზნაურო სკოლას ერთი დიდი უპირატესობა აქვს ამ სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით: აქ მოსამზადებელ კლასებში მაინც ქართული ენა დაცულია,—მოწაფე ჯერ სამშობლო ენაზე იწყებს სწავლას და მერე უცხო ენაზე გადადის. შემდეგს კლასებშიაც სამშობლო ენას აქვს ადგილი, როგორც საგანს. რასაკვირველია, სამშობლო ენა აქ მეტად ვიწრო ფარგალში მოქცეული, მაგრამ მაინც ამ პირობებშიაც მას თავისი ძალა აქვს. მიუხედავად ამისა, ყველა, ვინც საქმეს დაკვირვებია, ვინც იცნობს ჩვენს სკოლასა და სახელმწიფო სასწავლებლებს, უეჭველად იტყვის, რომ ჩვენი სკოლა უფრო ნაკლებ ნაყოფიერია, ის უფრო ნაკლებ მომზადებას იძლევა, ვიდრე მისი თანაბარი სახელმწიფო სასწავლებელი.

მერე რატომ? სად არის ის მიზეზი, რომელმაც ჩვენი სკოლა ასე განსაკუთრებით დააქვეითა? ამის მიზეზი თვით სკოლის ორგანიზაციაში უნდა ვეძიოთ. დღევანდელი ორგანიზაცია სათავად-აზნაურო სკოლისა ისეთია, რომ იქ მასწავლებლის ყოველი შემოქმედებითი ძალა იხშობა. პედაგოგიური რჩევა მოკლებულია ყოველ თავისუფლებას. ერთობა, ამხანაგობა, საერთო საქმის ხელი-ხელ ჩაკიდებული გაძღოლა

## ფელეტონი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაცია

(პედაგოგიურ რჩევის მოხსენება)

რუსეთში ახლანდელმა სოციალურმა პირობებმა ისეთის ვიწრო ფარგლით შემოხაზა სწავლა-განათლების საქმე, რომ თანამედროვე სასწავლებლები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მრავალგვარად გართულებულ ცხოვრების აუცილებელს მოთხოვნილებას. ცხოვრება აჩქარებულის ნაბიჯით წინ მიისწრაფვის, ცხოვრების ვითარება რთულდება, სასწავლებლები კი ამავე დროს ერთსა და იმავე წერტილზე შეჩერებულან და, თითქო განგებ, ცდილობენ მოზარდ ახალთაობის გონების დახშობას, მის სულიერ და ფიზიკურ ძალების ერთიანად განადგურებას. არსებული სასწავლებლები ჭეშმარიტად განვითარებულ მუშაკებს ვერ უმზადებენ სამშობლოს და კიდევაც ამიტომაა, რომ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე, ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა მცირე ნაყოფის გამომღებია. რუსეთის სასწავლებლებს მართლა რომ ჭეშმარიტი მოღვაწეები აღეზარდა საქართველოსათვის, ჩვენის მოზარდ ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმე მართლაც ნორმალურად ეწარმოებინა, საზოგადოებრივ თვითცნობიერებას ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში, ხალხის ყველა წოდებაში მძლავრი და საიმედო ფესვები ექნებოდა დღემდე გადგმული. ეხლანდელი სოციალური ცხოვრება ისეთ საფუძველზე არის აგებული, რომ სკოლის სხვანაირი ნაყოფიერება შეუძლებელიც იყო. მთელი ახლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება მჭიდროდ დაკავშირებულია არსებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებასთან და, მაშასადამე, რა გასაკვირველია, რომ სკოლაც ვერ ასცდა ამ წეს-წყობილების სასტიკს გავლენას. ამ გავლენის აცილება შეუძლებელია, რადგან სკოლა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების გულზე ნადები ღვიძლი შვილია, ამავე ცხოვრების ნამდვილი სურათია, მისი პირდაპირი შედეგი და ნაყოფია თანამედროვე სკოლა ახლანდელ ცხოვრების უმტყუნარო სარკეა, რომელზედაც მსხვილის ნაწერით მოხატულია თვით ამ ცხოვრების უტყუარი სურათი.

ამჟამად ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის საშუალო სკოლების უმთავრესი საფუძველი პოლიტიკურ ცხოვრების მიხედვით აღმოცენებულია ბიუროკრატიულ წეს-წყობილების ვითარებაზე და კიდევაც ამიტომაა, რომ ამ სკოლების მთელი ორგანიზაცია დახავსებულ ბიუროკრატიის წეს-წყობილების სალტებითაა შებოჭილი. არსებულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ძირიანფესვიანად შესცვალა საშუალო სკოლის თავიდათავი დანიშნულება, გაამეფა მასში, საღის და ჭეშმარიტის პედაგოგიურ პრინციპების მაგივრად, პოლიტიკანობა და ამნაირად მოუსპო მოზარდ ახალთაობას ჭეშმარიტის სწავლა-განათლების მიღების საშუალება.

თანამედროვე გართულებულ ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეუფარდებლობა და აღვირახსნილის ბიუროკრატიულ წეს-წყობილების გამეფება—აი რუსეთის საშუალო სკოლის ნიშნობლივი თვისებანი, რომელიც უმთავრესს ნაკლულევანებად უნდა ჩაეთვალოს ახლანდელს საშუალო სკოლას.

ჟამთა ვითარების გამო ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაც ვერ ასცდა ამ საერთო ნაკლს. ამ სკოლის სასწავლო გეგმა და ორგანიზაცია თითქმის სავსებით აგებულია რუსეთის საშუალო სკოლების უმთავრესს საფუძველზე, და ამიტომაცაა, რომ ჩვენის სკოლის ნაყოფიერებაც ისევე უმნიშვნელოა, როგორც რუსეთის საშუალო სასწავლებლებისა; მეტსაც ვიტყვით: ჩვენის სკოლის მდგომარეობა უარესია, რადგან სწავლება უცხო ენაზე სწარმოებს.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ, დიდი ხანია, აღნიშნა საშუალო სკოლის უნიადაგობა და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გადაჭრით მოითხოვა ამ სასწავლებლების ძირითადი რეორგანიზაცია. საზოგადოების უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდებოდა და საშიშ მდგომარეობაში აგდებდა მთავრობის პოლიტიკას სწავლა-აღზრდის საქმეში. მთავრობის მხრით ამ უკმაყოფილების უყურადღებოდ დატოვება მოუხერხებელი შეიქმნა. საერო განათლების სამინისტრომ, გენერალ ადიუტანტის ვანოვსკის მინისტრობის დროს, განიზრახა საშუალო სკოლების რეორგანიზაცია. ვანოვსკის ხელმძღვანელობით მოწვეულმა სასკოლო კომისიამ ცხად-ჰყო ახლანდელის საშუალო სკოლის უვარგისობა და, ის იყო, თითქო ახლოვდებოდა ძველის სწავლების სისტემის ლიკვიდაციის ხანა, მაგრამ იმისი განზრახვა განზრახვადვე დარჩა, საშუალო სკოლა ისევ ძველსა და ვიწრო საზღვარში დარჩა მომწყვდეული, ასე რომ, ამ საზღვრის გონიერულად გაფართოვება ვერ შესძლეს ვერც ვანოვსკის შემდეგ ყოფილმა მინისტრმა ზენგერმა და ვერც სამინისტროს ახლანდელმა მმართველმა ბ. გლაზოვმა.

ცხოვრების სინამდვილე კი, მიუხედავად ამისა, დაჟინებით თხოულობს ძირითადს რეფორმას და ჩვენ ჯერ-ჯერობით შეუძლებლად მიგვაჩნია გადაჭრით ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რაგვარს რეფორმის გზას დაადგება ამ მოკლე მომავალში რუსეთის მთავრობა საშუალო სკოლის რეორგანიზაციის დროს. თუ მთავრობამ საშუალო სასწავლებლების ძირითადი რეორგანიზაცია სასურველად მოაწესრიგა, ამის მიხედვით ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ახლანდელი ანორმალური მდგომარეობაც საკეთილოდ შეიცვლება.

კიდევაც რომ რუსეთის საშუალო სკოლებმა ახლანდელ ანორმალურ მდგომარეობას თავი ვერ დააღწიოს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ახლანდელ პირობებში დატოვება მოუხერხებელია, თუ გვინდა, რომ სკოლამ უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს საზოგადოებას.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა კერძო სკოლაა და, მაშასადამე, საზოგადოებას სრული უფლება აქვს, მოახდინოს სკოლაში ზოგიერთი ძირითადი ცვლილებანიც კი. დღეს, როცა ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ სკოლის ნაყოფი ძლიერ მცირედია, როცა სკოლა თითქმის უმოქმედობის გზას დასდგომია და უმოწყალოდ ამახინჯებს ჩვენს მომავალს თაობას, ვიმეორებთ, დღეს რომ საზოგადოებამ არ ისარგებლოს იმ უფლებით მაინც, რომელიც მის ხელთ არის, ეს დიდი დანაშაული იქმნებოდა ჩვენის მხრით.

სკოლის პედაგოგიურმა რჩევამ, დიდის განსჯისა და მოფიქრების შემდეგ, თავის ზნეობრივ მოვალეობად ჩასთვალა, გაეთვალისწინებინა საზოგადო კრებისთვის სკოლაში ზოგიერთი ცვლილებათა მოხდენის საჭიროება, რაიცა სკოლის ნაყოფიერებას უეჭველად ხელს შეუწყობს და ამნაირად ჩვენს ახალთაობას გონებრივსა და ზნეობრივ გადაგვარებას თავიდან აიცდენს. რჩევის აზრით, უკეთუ რუსეთის საშუალო სასწავლებლებში ძირითადი ცვლილებანი არ მოხდა, ჩვენის სკოლის სასწავლო ნაწილი და შინაგან ყოფა-მდგომარეობის ორგანიზაცია მაინცადამაინც უნდა შეიცვალოს და ეხლანდელ დროის შესაფერად უნდა მოწესრიგდეს.

#### I. სასწავლო ნაწილი.

1. ამჟამად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასწავლო პროგრამა, თუ ქართულ ენის სწავლებას არ მივიღებთ მხედველობაში, სრულიად შეფარდებულია საშუალო სასწავლებლების საერო განათლების სამინისტროს პროგრამასთან. სკოლა კვალდაკვალ მისდევს სახელმწიფო სკოლების პროგამას. დიდს დროსა და ენერგიას ანდომებს ამ პროგრამის სავსებით შესრულებას, რადგან სკოლის დღევანდელი უმთავრესი დანიშნულებაა, რაც შეიძლება, უმრავლესმა პროცენტმა მიიღოს სახელმწიფო გიმნაზიების დამთავრების მოწმობა. ამნაირად, ჩვენი სკოლა უბრალო პანსიონს წარმოადგენს, საცა ბავშვებს სწრთვნიან და ავარჯიშებენ მხოლოდ იმ აზრით, რომ, რაც შეიძლება, უფრო მომეტებული პროცენტი გადავიდეს სახელმწიფო სასწავლებლებში და ამ სკოლების დამთავრების სათანადო მოწმობაც მიიღოს. სკოლის ნაყოფიერება იზომება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენმა მოსწავლემ დაიჭირა ეგზამენი გიმნაზიაში და ან რამდენმა მიიღო სახელმწიფო სკოლის დამთავრების მოწმობა. სკოლის ასეთი დანიშნულება მეტად ავიწროვებს მასწავლებლებს. სახელმწიფო სკოლების უსულო და უგულო პროგრამა ნებას არ აძლევს მასწავლებლებს უმთავრესი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების გონებრივ განვითარებას, შეათვისებინონ ისეთი საგნები, რომელიც ცხოვრებაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამგვარ შევიწროებისა და შეზღუდვის შედეგი ცხადია: ყმაწვილი სრულიად განუვითარებელი და ცხოვრებისათვის მოუმზადებელი გამოდის სკოლიდან. ამიტომ პედაგოგიურს რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, ტფილისის სათავადაზნაურო სკოლას მოსამზადებელი ხასიათი არა ჰქონდეს, არამედ იგი წარმოადგენდეს ისეთს სასწავლებელს, საცა მოსწავლე იძენდეს დროის შესაფერ დამთავრებულ საშუალო სწავლა-განათლებას.

2. პედაგოგიის უმთავრეს პრინციპად აღსარებულია, რომ ბავშვის ნორჩ გონების ნორმალურად განვითარება შესაძლოა მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით. თუ ყმაწვილი სამშობლო ენის საშუალებით არ ითვისებს ამა თუ იმ საგანს, მისი ნორმალურად განვითარება არა თუ საძნელოა, თითქმის მოუხერხებელიცაა. ამიტომ, თუ რუსეთის საშუალო სასწავლებლების ძირითადი რეორგანიზაცია მოხდა, ჩვენს სკოლაში ყველა საგნები ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ თუ ასეთი ცვლილება არ მოხერხდა, სათავადაზნაურო სკოლაში ქართული ენა მთავარ საგნად მაინც უნდა იქმნეს მიჩნეული.

3. სამშობლო ენაზე გონება-განვითარებული მოსწავლე ადვილად შეითვისებს სხვა, უცხო ენებს და, მათ შორის, რასაკვირველია, რუსულ ენასაც. ამ ენის საფუძვლიანად მესწავლა, როგორც სახელმწიფო ენისა, პრაქტიკულად მეტად საჭირო და სადღეისოა. ამიტომ ამ ენის სწავლებამ მართლაც რომ ჭეშმარიტი ნაყოფი გამოიღოს, აუცილებლად საჭიროა, მოვსპოთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც ამჟამად მეტად აუტანელ ბარგად გაზდარა რუსულ ენის შესწავლის დროს. დაბალს კლასებში, მაგალითად, გრამატიკის გაკვეთილებს წინ უნდა უძღოდეს განმარტებითი კითხვის გაკვეთილები, ძველის ლიტერატურის კურსი შესამჩნევად უნდა შემოკლდეს უფროსს კლასებში და, სამაგიეროდ, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ახალის დროის მწერლების ნაწარმოებთა შეთვისებას.

4. რუსულსა და ქართულს ენაზე არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რომლის ვრცლად გაცნობაც მეტად ხელს შეუწყობს მოსწავლეების გონების განვითარებას. ამიტომ პედაგოგიურს რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, პირველსავე [illegible] შეაჩვიოთ მოსწავლეები კლას გარეშე წიგნების გონივრულად კითხვას თვით მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

5. თუმცა ამჟამად საბუნების-მეტყველო საგნებს ასწავლიან სკოლაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საგნებს ფართო და შესაფერი ადგილი არა აქვს დათმობილი. თანახმად საერო განათლების სამინისტროს პროგრამისა, ბუნების-მეტყველებას ასწავლიან მხოლოდ პირველ სამს გიმნაზიურ კლასში და იმასაც ძლიერ ზერელედ. მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბუნებისმეტყველო საგნებს დღითი-დღე უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ცხოვრების სარბიელზე და ამიტომ ამ საგნების ასე ვიწრო და შეზღუდულ ფარგალში მომწყვდევა ცხოვრების რეალურ პირობების დაგმობა და უარყოფაა. ამიტომ რჩევას საჭიროდ მიაჩნია, საბუნების-მეტყველო საგნების პროგრამა გააფართოვოს და ამ საგნების სწავლება საფუძვლიან ნიადაგზე დაამყაროს გიმნაზიურ ყოველ კლასში. რვა წლის განმავლობაში მოსწავლე შეგნებით შეითვისებს ბუნების უმთავრეს მოვლენას და, ასეთის ცოდნით შეიარაღებული, იგი უფრო ნაყოფიერად და შეგნებულად იშრომებს უნივერსიტეტში.

აქ შეუძლებელია. და ეს იმიტომ, რომ სკოლას განაგებს ისეთი ძალა, რომელიც სკოლის გარეშე დგას. ვინც მუშაობს, იმას უფლება არა აქვს, იმას ძალა და ხმა არ შესწევს; ვინც გარეშე დგას, ის უფლებით შემოსილია. ცხადია უუფლებობის შედეგი უძლურება, უიმედობა და უილაჯობაა. ხოლო კაცი უიმედო და უძლური ვერ ჩააგონებს სხვას იმედიანობას, გატაცებას და საზოგადოებრივ იდეალების სამსახურის საჭიროებას.

და, აი, სწორედ ამიტომ ძირიანად უნდა შეიცვალოს დღევანდელი სასკოლო ორგანიზაცია. საჭიროა არა მარტო პროგრამის ძირითადი გადამუშავება, მისი რეალურ ნიადაგზე დამყარება, საჭიროა თვით სკოლის გამგებლობის წესის შეცვლა. თუ პროგრამის შეცვლას არ მოჰყვა ორგანიზაციის შეცვლაც, სკოლა მაინც ვერ იხეირებს და სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს. ის საზოგადოება, სადაც პიროვნებას მოვალეობა აწევს, ხოლო უფლება არა აქვს, თავის დღეში ვერ იხეირებს. ამიტომ საჭიროა, მასწავლებელთა კორპორაციას მიეცეს მოვალეობასთან ერთად უფლებაც. საჭიროა სკოლა პირდაპირ საზოგადოების წინაშე იყოს პასუხისმგებელი.

თუმცა გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლებს შეუგნიათ ეს გარემოება. მათ შეუმუშავებიათ გეგმა სკოლის რეორგანიზაციისა და წარუდგენიათ სკოლის კომიტეტისთვის. ეს მათი „მოხსენება“ იბეჭდება ჩვენის გაზეთის დღევანდელ ნომერში. საზოგადოება ვალდებულია ყურადღებითა და ინტერესით მოეპყრას მასწავლებელთა გეგმას, გულდასმით განსაჯოს და შესაფერი ზომები მიიღოს, რათა სკოლის ორგანიზაცია სასურველ ნიადაგზე დამყარდეს.

Z.

# დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 მაისი.

**ათინა**, 29 მაისი (ლონდონი). კრიტოსის აჯანყებულებმა სახელმწიფოს გაუგზავნეს ნოტა, რომელშიაც აცხადებენ, იარაღს დავყრით მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოები დასთანხმდებიან, რომ კუნძული შეერთებულ იქმნას იმ პირობებით მაინც, რომლითაც აღმოსავლეთი რუმელია შეერთებულია ბულგარიასთანაო.

**ტანჟერი**, 30 მაისი. (ლონდონით). ინგლისელ მადენის მოკვლა მართალი გამოდგა. მიზეზი—პირადი მტრობაა. მოკლულს 12 ჭრილობა აქვს. ავსტრიის მისიამ სულთანთან ფესში საჩქაროდ შიკრიკები გაჰგზავნა. დღევანდელ მდგომარეობაში ამ ამბავს, შეიძლება, საერთა-შორისო უთანხმოება მოჰყვეს.

**მოსკოვი**, 30 მაისი. საერობო სასანიტარო საბჭო თავისით აპირობს ხოლერასთან ბრძოლას. უნდა გაჰმართოს 52 საექიმო პუნქტი და დაამზადოს საცვლები და სადეზინფექციო მასალა.

**ბოგოროდსკი**, 30 მაისი. შაპავების ბირჟაზე გაიფიცა 880 ფეიქარი; თხოულობენ: ხელფასის მომატებას შეფასებით და სამუშაო დროის შემცირებას.

**ვილნა**, 30 მაისი. პოლესის რკინის გზათა საერთო საკრებულომ დაადგინა: ამიერიდან ამ გზებზე მომუშავეთა და მოსამსახურეთ აღარავითარი ჯარიმა არ გადახდევინონ; სახელოსნოებსა და დეპოებში დააწესონ 9 საათის სამუშაო დღე, შაბათობით კი—7 საათისა. მუშებს მიჰმართონ ხოლმე „თქვენობით“; იმ მუშას, რომელსაც სამი წელიწადი უმსახურნია, რკინის გზის უფროსი კომისიის გამოუძიებლად ვერ დაითხოვს. ამ კომისიაში მუშების წარმომადგენლებიც იქნებიან.

**ტიუმენი**, 30 მაისი. 28 მაისს მტვირთველ მუშებს შეუერთდნენ დაბახნის, მზარხავის, თუჯის ჩამომსხმელ ქარხნების მუშები და მაღაზიის ნოქრები. აირჩიეს დეპუტაცია მოთხოვნილებათა წარსადგენად. მუშათა პეტიციას, 29 მაისს, განიხილავს სოვდაგართა კრება. ნოქართა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. სამუშაო დღე 10 საათით განსაზღვრეს; უქმე დღით შესვენება და სამედიატორო სამართალიც დააწესეს.

**ვერხნე-დნეპროვსკი**, 30 მაისი. ყველა ნოქრები 12 საათი სამუშაო დღეს თხოულობენ.

**კოპენჰაგენი**. თუმცა სიწყნარე არ დამყარებულა, მაგრამ საქმის გამწვავებას არ ელიან. ნორვეგია საომრად გამზადებულია.

**სტოკჰოლმი**. კაბინეტს ნდობა შეერყა. რეიხსტაგის მოწვევისთანავე იგი სამსახურიდან გადადგება.

**კოვნო**, 30 მაისი. გაიფიცნენ ქალაქის ტრამვაის მოსამსახურენი. თხოულობენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

**პენზა**, 29 მაისი. მხეცური მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს ადგილობრივი მემამულე, მისი ცოლი და სახლის პატრონიც.

**ოზლიანი**, 29 მაისი. სამგზავრო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა, მემანქანეს ორივე ფეხი მოსწყდა, მისი თანაშემწე, ერთი კონდუქტორი და ერთი მგზავრიც დაშავდნენ.

**პარიზი**, 30 მაისი. გაზეთების სიტყვით, ფრეისინე მიიღებს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას.

**ლონდონი**, 30 მაისი. მუშების უსაქმოდ დარჩენის საკითხი, რომელიც ინგლისის ბევრს ადგილებსა და ლონდონში შიმშილობას აჩენს, უფრო და უფრო მწვავდება. დღეს ნელსონის ძეგლთან შეიკრიბა 440 მუშისაგან შემდგარი ბრბო, რომელიც ლესტერიდან (150 ვერსია) ფეხით მოსულიყო. ამათგან 160 ყოფილი სალდათია, აფრიკის ომში ნამსახური რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. ლესტერის მუნიციპალიტეტის წევრებმა, მღვდლებმა და სხვა პირებმა მეტად მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს. ინდოეთიდან დაბრუნებულმა ოფიცერმა, რომელიც ცხენით მოჰყვა დამშეულებს, მათ სასარგებლოდ ათასი გირვანქა სტერლინგი შესწირა და ურჩია ყველას მისთვის მიებაძნა. ამ შემთხვევამ ბრბოზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე ოფიცერმა 200 გირვანქა სტერლინგი შესწირა.

**კანეა**, 29 მაისი. კრების კიდევ 40 დღით გაგრძელების შესახებ პრინცმა გიორგიმ უქაზი გამოსცა. ამბობენ, აპოკორონოს ინგლისის ჯარები დაიჭერენო. საფრანგეთისა და იტალიის ჯარებმა კნესს ალყა შემოარტყეს. როგორც იუწყებიან, ამ დღეებში კონსულები აჯანყებულებს წინადადებას გაუგზავნიან და მოსთხოვენ, რომ ათის დღის განმავლობაში იარაღი დაჰყარონ.

**ნარვა**, 28 მაისი. ნარვის მიდამოებში გაჩნდნენ ავაზაკები, რომელთაც ამ დღეებში ერთის ესესის სახლს შემოარტყნენ, სახლს ასი ტყვია ესროლეს და გაიქცნენ. პოლიციმეისტერმა სხვადასხვა ადგილას სადარაჯო რაზმები დააყენა. ბოქაულმა მახლობლად ტყეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ამაოდ, ავაზაკები მიიმალენ. ავაზაკთა რიცხვში ექვსი ტუსაღი ურევია, რომლებიც ამას წინად ციხიდან გაიქცნენ.

**კოვნო**, 30 მაისი. ბაზარში ვიღაც საეჭვო კაცები დადიან და ვაჭრებს და სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს ერეკებიან. ბაზარს პოლიცია და ჯარი სდარაჯობს. დღეს მშვიდობიანობაა. სურსათი ძალიან გაძვირდა.

**პეტერბურგი**, 30 მაისი. გავრცელებული ხმა, ვითომ 1 ივნისიდან შაქარზე ბაჟს მოუმატებენო, სიმართლეს მოკლებულია. კი არ უმატებენ, მანათზე 5 კაპ. დაუკლეს.

**ლონდონი**, 30 მაისი (რეიტერი). ინდოეთის მთავრობამ ოფიცრებს თიბეთში მოგზაურობა აუკრძალა.

**პეტერბურგი**, 29 მაისი. მონარქის მიერ 18 თებერვალს გამოცემულ რესკრიპტის განსახორციელებლად, მინისტრთა საბჭოს მესამე სხდომა ჰქონდა, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება განიხილეს. სამივე სხდომა კანონიერ რჩევის მიმცემ არჩეულთა დაწესებულების უმთავრეს მუხლს არკვევდა. უკანასკნელი სხდომა საარჩევნო წესრიგს მოანდომეს. რამდენისამე დღის შემდეგ, როცა აუცილებელსა და საჭირო დამატებით ცნობებს შეჰკრეფენ ამ საკითხის შესახებ, სხდომა საარჩევნო წესს სრულიად გამოარკვევს და შემდეგ თვითოეულ მუხლის ცალკე გადაკითხვას შეუდგება.

**მარიუპოლი**, 30 მაისი. გუშინ ნავთ-სადგურში მუშები სამუშაოზე არ გამოსულან, მთელი დღე სიწყნარე იყო.

**ქრემენჩუგი**, 30 მაისი. ნოქრებმა სოვდაგრების დადგენილება არ იკმარეს და 12 საათიანი სამუშაო დღე მოითხოვეს.

**მარიუპოლი**, 30 მაისი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით სთხოვოს, იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

**დონის-როსტოვი**, 30 მაისი. ნავთსადგურის მუშები და მეხორბლე ნოქრები გუშინ სამუშაოდ არ გამოცხადნენ, კვირაობით უქმობა უნდათ.

**თეირანი**, 30 მაისი. რადგან ნაიბი თეირანის მუშთაიდს ურჩობას უწევს, ქერბელის სასულიერო წოდებამ პროკლამაცია გამოსცა, სადაც ნაიბს გადაყენებას ემუქრება. აგიტაცია, დღითი-დღე მწვავდება.

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

30 მაისი.

**ვაშინგტონი**, 30 მაისი. (რეიტერი) ოფიციალური წრეები გვარწმუნებენ, რომ ზავის შეფერხებაზე გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია. რუზველტმა რუსეთის პასუხი დღეს მიიღო. კასსინი ნახევარ საათს ეთათბირა რუზველტს. მეიერისაგან ხელმოწერილი ვრცელი შიფრიანი დეპეშა რუზველტმა შაბათს მიიღო. დეპეშა, ალბად, რუსეთის საზღვაო ფორმას შეიცავს.

**პეტერბურგი**, 30 მაისი. პეტერბურგის სააგენტოს შეუტყვია, რომ შეერთებულ შტატების შუამდგომლობის საპასუხო ნოტა რუსეთის მთავრობამ დღეს გადასცა რუზველტსაო. ნოტაში მოხსენებულია რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთა შეხვედრისა და ზავის პირობები.

**ვაშინგტონი**, 30 მაისი. რუზველტისა და მინისტრ ტაფტის თათბირის შემდეგ, პრეზიდენტის მდივანმა განაცხადა, რომ ამისთანა პირობებში რუსეთისა და იაპონიის პასუხები ვერ გამომჟღავნდებაო. გვარწმუნებენ, რომ ეს სამშვიდობო მოლაპარაკების დაბრკოლებას არ მოასწავებსო. საქმის მიმდინარეობა სრულიად კმა-საყოფელიაო.

**ვაშინგტონი**, 29 მაისი. აქაურის ცნობებით, რუსეთსა და იაპონიას შორის ომი ექვსის კვირით შეჩერდება ზავზე სათათბიროდ.

**ტოკიო**, 29 მაისი. აქ შიშობენ, ზავზე სათათბიროდ ომის შეწყვეტამ იაპონიას ბრძოლის ველზე უპირატესობა არ წაუხდინოსო. შიშობენ—ვაი, თუ რუსებმა ამ დროთი ისარგებლონ და პოზიციები გაამაგრონო. ამისთვის იაპონია თხოულობს, რომ მისი უპირატესობა ამ მხრივ უზრუნველყოფილ უნდა იქმნეს და ზავზე მერე შევუდგეთ თათბირსაო.

**ტოკიო**, 29 მაისი. იაპონიამ შემდეგი პასუხი შეუთვალა რუზველტს: ,,როგორც მთელის მსოფლიოს, ისე იაპონიის სასარგებლოდ მოსურნენი ვართ რუსეთთან ზავის ჩამოგდებისა, იმ პირობებით, რომელიც დაიცავს და უზრუნველჰყოფს მის სიმკვიდრეს. საიმპერატორო მთავრობა თანახმაა პრეზიდენტის შუამდგომლობას ხელი გაუწოდოს და თავისი რწმუნებულნი გაჰგზავნოს რუსეთის რწმუნებულთა სანახავად იმ დროსა და ადგილს, სადაც ორთავე მხარე საუმჯობესოდ იცნობს, რათა მეომართა რწმუნებულთ პირდაპირ უშუამავლოდ ითათბირონ ზავის საბოლოოდ ჩამოგდებაზე. ,,ჯი-ჯი-შიმპო'' სწერს, თუმცა იაპონიამ რწმუნებულთა დანიშვნაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ზავი მალე ჩამოვარდებაო. იაპონიამ უსათუოდ უნდა მოითხოვოს, რომ გამარჯვებულის უფლებანი არ შეილახოს და ზავზე მოლაპარაკების დროს მისი სტრატეგიული მდგომარეობა არ გაუვარგისდესო.

**შანხაი**, 29 მაისი. იუწყებიან, რომ მანჯურიაში იაპონიის ჯარმა რუსის ჯარის შემოვლა დაიწყოო. ბრძოლას წუთი-წუთზე ელიან. იაპონიამ მიიღო მორიგების შესახები წინადადება.

**სინგაპური**, 29 მაისი (ლონდონით). გემმა „ოკალინმა'' მალაკის სრუტეში შენიშნა რუსის მაშველი კრეისერი, რომელიც რუსეთისაკენ მიდიოდა.

**ტოკიო** 28 მაისი. როდესაც ჩვენი მთავარი ესკადრა, რუსეთის ოთხის გემის დატყვევების შემდეგ, შინისკენ ბრუნდებოდა, მას წინ მოეგება ჯავშნოსანი ,,ადმირალ უშაკოვი'', რომელსაც, როგორც ეტყობოდა, ჩვენი გემები რუსეთის გემებად მიეღო. რაკი შეცდომა შეამჩნია, მთელის სისწრაფით უკან გაექანა, მაგრამ იაპონიის გემები ,,ივატე'' და ,,იაკუმო'' წამოეწივნენ და ანიშნეს: დაგვნებდით, რადგან ადმირალი ნებოგატოვი ტყვედ მოგვყავსო. ,,ადმირალ უშაკოვ''-მა ნიშნითვე უპასუხა და შემდეგ შეჩერდა. იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს 8000 მეტრის მანძილზე და 30 წუთის განმავლობაში ჩასძირეს. ,,ივატემ'' 192 მეზღვაური გადაარჩინა, ,,იაკუმომ''—140.

**ტოკიო**, 29 მაისი. საზღვაო ბრძოლაში დახოცილ ოფიცერთა და ჯარის-კაცთა პატივსაცემლად ცერემონია მოხდა—ცინდაოდან მოსული დეპეშა გვატყობინებს, რომ დღეს დილით ნახშირით დატვირთული რუსის გემი „ლენა“ ცინდაოდან გამოვიდაო. ამავე გემს მიაქვს აგრეთვე რამდენიმე ასი-ათასი მანათი. ფიქრობენ, გემი ან მანილასა ან ვლადივოსტოკში მიდისო. ახლა გამოაშკარავდა მიზეზი, ვლადივოსტოკის ესკადრამ უკანასკნელ ბრძოლაში რატომ მონაწილეობა არ მიიღო. ნაგასაკში მოვიდა ბრიტანიის სავაჭრო გემი, რომლის ეკიპაჟიც,—ერთი ინგლისელი, 16 ჩინელი და ერთიც გერმანელი,—ირწმუნება, რომ რუსები ვლადივოსტოკში ჯერ ისევ სამხედრო გემების შესწორებას უნდებიანო. რამდენიმე ნაღმოსანი ნავთ-სადგურში ჩაიძირა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4-ზე გვერდზე)

### ჟურნალ-გაზეთებიდან

—

**რუსების გულცივობა.** უცხოეთის ყველა კორესპონდენტი საოცრებიდან გამოიყვანა პეტერბურგის სანახაობამ ცუსიმასთან ესკადრის განადგურების შემდეგ. განცვიფრებით უყურებდნენ, რომ თეატრები, საკონცერტო დარბაზები, რესტორანები და ყველა გასართობი ადგილები ღია იყო და მხიარულ მოქეიფე ხალხით გავსებულიყო. განსაკუთრებით უმაღლეს მოხელეთა და სამხედრო პირთა ბრწყინვალე მუნდირები ყველას ყურადღებას იქცევდა. ასე გაშინჯეთ, საზღვაო შტაბის ოფიცრებიც არ ჩამორჩენოდნენ საერთო მეჯლისს. კორესპონდენტები ამბობდნენ, ჩვენი გონება ვერ მისწვდება, ვერ გაიგებს ასეთს მოვლენასაო.

**ინგლისის აზრი რუსეთ-იაპონიის ზავის შესახებ.** საზოგადოდ ინგლისის პრესსა და განსაკუთრებით გაზ. „ტაიმსი“ და „მორნინგ პოსტ“-ი მეტად უდიერად ეპყრობიან რუსეთის დღევანდელს უნუგეშო მდგომარეობას. ინგლისის უმთავრესი საზრუნავია—ამბობს „მორინგ პოსტ“-ი—ახლა ეს არის, რომ არავითარმა დიპლომატიურმა ჩარევამ იაპონიას ხელი არ შეუშალოს, დეე, იაპონიამ სავსებით მოირთვლიანოს გამარჯვების ნაყოფი და რუსეთმა სავსებით იგრძნოს თავისი გათახსირებული მდგომარეობა, რომ ევროპის საქმეში ჩასარევად ყოველივე სახსარი მოვუსპოთ, საჭიროა მთელს ჩვენს სამხედრო ძალასა და თვით ესკადრას ევროპის წყლებში მოვუყაროთ თავი. ასეთი დემონსტრაცია საუცხოვო მხარის მიცემა და მეგობრულ სამსახურის გაწევა იქმნებოდა ჩვენს მოკავშირე სახელმწიფოსათვისაო.

ინგლისის ლიბერალური პრესსა, პირიქით, ურჩევს იაპონიას, შენს მოთხოვნილებაში წესიერი ზომიერება წაიმძღვარე და რუსეთს შეღავათიანი პირობები წარუდგინეო. „ტაიმსს“ სიცილად არ ჰყოფნის ასეთი „წესიერი ზომიერება“ და სამაგიეროდ იაპონიას ურჩევს: „არ გაგაბრიყვონ და არაფერი დაგათმობინონ, რუსეთი მთლად ადგავე პირისაგან ქვეყნისაო“.

ზოგიერთა გაზეთები, რომელნიც რუსეთს ზიზღით უყურებენ, ხმებს ავრცელებენ, ვითომ იაპონია თავის ესკადრას ბალტიის ზღვისკენ გამოჰგზავნისო. მაშინ რუსეთი, მთლად უმწეო და დასუსტებული, ყველა სამარცხვინო პირობებზედაც დასთანხმდებაო.

უფრო სერიოზული გაზეთები ამაზე შენიშნავენ, რომ იაპონიის ფლოტის ბალტიის ზღვაში გამოგზავნა ისეთივე უაზრობა და ფუქსავატობა იქმნება, როგორც როჟესტვენსკის წყნარ ოკეანეში გამგზავრება იყოო (ნ. ვ.).

**უცხოელთა აზრი რუსეთის მამულიშვილობაზე.** უცხოეთის მწერლობა დაჟინებით ჩასჩიდე-

---

6. რაციონალურად უნდა მოეწყოს გერმანულისა და ფრანგულ ენების სწავლება, რადგან მარტო ქართულისა და რუსულ ენების საშუალებით შეუძლებელია ამჟამად საფუძვლიანისა და ფართო განათლების მიღება. ამიტომ ამ ენების სწავლება სკოლაში ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ მოსწავლე, ჩვენის სკოლის დამთავრების შემდეგ, შეგნებით კითხულობდეს ფრანგულსა და გერმანულ წიგნებს, გაუჭირვებლად ლაპარაკობდეს ამ ენებზე და სამუდამოდ იცნობდეს ამ ენებზედვე არსებულ ლიტერატურას.

7. ლათინურ ენის სწავლება ამჟამად გიმნაზიებსა და ჩვენს სკოლაში მესამე კლასიდან იწყება. კიდევაც რომ ამ ენის სწავლება სხვა საშუალო სასწავლებლებში დღევანდელ ვითარებაში დარჩეს, ჩვენს სკოლაში ლათინურის ენის სწავლება ექვსის წლის განმავლობაში მეტი დროს დაკარგვა იქნებოდა. თუ მასწავლებელი რაციონალურად მოაწყობს ამ ენის სწავლებას, მთელის გიმნაზიურ კურსის საფუძვლიანად შეთვისება ადვილად შესაძლოა ოთხი წლის განმავლობაში. ამნაირად, ლათინურ ენის სწავლება, რჩევის აზრით, მეხუთე კლასიდან უნდა იქნეს შემოღებული. ამ ენის სრულიად გაუქმება დღევანდელს ვითარებაში პედაგოგიურს რჩევას შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ჩვენის სკოლის კურს-დამთავრებულ მოსწავლეებს, რუსეთის უნივერსიტეტები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტებში არც ერთ მსვლელობა არ ექმნება, და განსაკუთრებით კი გერმანიაში.

8. ყველა სავალდებულო საგნების სწავლებაში დასახელებულ ცვლილებათა შემოღება, რასაკვირველია, შესამჩნევ გავლენას იქონიებს სკოლის წარმატებასა და ნაყოფიერებაზე, მაგრამ მოსწავლეების კანონიერ და სრულიად ბუნებრივ მოთხოვნილებას მაინც ვერ დააკმაყოფილებს. აშკარაა, რომ თანამედროვე გართულებული ცხოვრება ჰბადავს მრავალ ისეთს საკითხებს, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტასაც მოსწავლის ცნობის მოყვარე გონება დაჟინებით თხოულობს. სკოლის პირდაპირი მოვალეობაა—განუმარტოს, გაუთვალისწინოს მოსწავლეებს ეს საჭირ-ბოროტო საკითხები და თვით სკოლის კედლებს შიგნით დააკმაყოფილოს ცნობის მოყვარეობით გატაცებული მოსწავლის გონება. თუ სკოლამ მოსწავლის ასეთის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავის პირდაპირ მოვალეობად არ ჩასთვალა, აშკარაა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა სკოლას ზურგს შეაქცევს და სკოლის გარეშე მოსძებნის ამ საჭირბოროტო საკითხების განსამარტებელ მასალას და, ვინ იცის, რამდენად საიმედო გამოდგება ეს მასალა. ჭეშმარიტი მასწავლებელი მოვალეა, სავსებით იცნობდეს თავის მოწაფის სულიერს არსებას, მის ზნეობრივ ფიზიონომიას, მის იდეალებსა და მისწრაფებას. ყველა ამის ცოდნა, სავსებით გათვალისწინება შეუძლებელია, უკეთუ მასწავლებელი არ ხელმძღვანელობს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარების საქმეს. ამიტომ პედაგოგიურ რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, სკოლაში შემოღებულ იქმნას ფილოსოფიის, ფსიხოლოგიის, კანონმდებლობის, პოლიტიკურ ეკონომიის, სტატისტიკისა და ზოგიერთის სხვა საზოგადო მეცნიერების სწავლება. ამ საგნების სწავლების შემოღება უფროს კლასებში შემოკლებულის პროგრამითაც მეტად დიდ სამსახურს გაუწევს გონებრივად განვითარების საქმეს და ერთი-ორად გაანაყოფიერებს სკოლის მოღვაწეობას.

9. გარდა ამისა, თვითოეულს ხანს, თვითოეულ განსაზღვრულ დროს თანასდევს ესა თუ ის საჭირ-ბოროტო საკითხი, რომლის გარკვევა და გათვალისწინება მეტად აინტერესებს მოსწავლის ცნობის-მოყვარე გონებას. ყველა ამ საკითხებს დროებითი ხასიათი აქვს და მათი გამორკვევა და გადაწყვეტა სკოლამ უნდა იდოს თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე სკოლის გარეშე მოსძებნის ამ საჭირ-ბოროტო საკითხების გადაწყვეტის საშუალებას და ამნაირად მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის სწყდება ის სულიერი კავშირი, რომელიც ასე საჭიროა ყოველს კეთილად განწყობილსა და მოწესრიგებულ სასწავლებელში. ამიტომ სკოლაში სავალდებულო საგნებთან ერთად შემოღებულ უნდა იქმნას საგნების ფაკულტატიური სწავლებაც დროის შესაფერ საჭირ-ბოროტო საკითხების გამოსარკვევად.

10. გამოცდილ პედაგოგების-მიერ შენიშნულია, რომ მასწავლებელი, რომელიც ერთსა და იმავე საგანს დიდის ხნის განმავლობაში ასწავლის, ხშირად ხდება სრული მონა სახელმძღვანელოსი და მის-მიერ შემუშავებულ სწავლების სისტემისა. ამიტომ მასწავლებელმა, რომ სკოლაში არ გამეფოს სწავლების დახავსებული მეთოდი, მასწავლებელი რომ მუდამ ამდიდრებდეს თავის გონებას პედაგოგიკისა და მეთოდიკის ყოველმხრივ განვითარების ცოდნით, აუცილებლად საჭიროა, სკოლის ხელმძღვანელნი დროგამოშვებით სწერდნენ რეფერატებს ამა თუ იმ პედაგოგიურ კითხვების შესახებ და მსჯელობდნენ პედაგოგიურ საბჭოს კრებებზე ჭეშმარიტ პედაგოგიურ ზომების შესამუშავებლად.

11. პედაგოგიურ რჩევის კრებებზე საგულისხმიერო საკითხების შესახებ აზრთა გაზიარება, ამა თუ იმ პედაგოგიურ ცდისა და დაკვირვების მოხსენება და განსჯა, ყველა საგნების სწავლებაში დიდს ჰარმონიას შეიტანს, კერძო საგნების სწავლებაში დაამყარებს მჭიდრო კავშირს, ერთსულოვნებასა და ერთგულობას. ასეთ სოლიდარულ მოქმედების დროს სრულიად ადგილი არ ექმნება ისეთს სამწუხარო გარემოებას სკოლაში, როცა ერთი რომელიმე მასწავლებელი ძლიერ ხშირად გულმოდგინედ აშენებს მოსწავლების გონების განვითარების სალაროს მკვიდრ კედლებს და მეორე კი ასეთისავე გულმოდგინეობით ძირს უთხრის ამავე კედლებს.

12. რეფერატების წერისა და რჩევაზე თეორეტიულად განსჯის გარდა, საჭიროა, რომ მასწავლებლები დრო-გამოშვებით ესწრობოდნენ ამხანაგების სამაგალითო გაკვეთილებს და პრაქტიკულად ეცნობოდნენ სწავლების სისტემას და მეთოდებს. სამაგალითო გაკვეთილების საერთო ძალით განსჯა და განხილვა მეტად ხელს შეუწყობს, მასწავლებელმა რომ ჭეშმარიტი აზრი შეადგინოს ამა თუ იმ საგნის სწავლების შესახებ.

### II. შინაურ მართვა-გამგეობის ორგანიზაცია.

1. სკოლის სული და გული მასწავლებელია. სკოლის წარმატება, ჭეშმარიტი ნაყოფიერება მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როცა სკოლას ერთგულად თავს დასტრიალებს შეგნებული, ჭეშმარიტის ცოდნით შეიარაღებული მასწავლებელი. მოზარდ ახალთაობის გონებრივ განვითარების ხელმძღვანელობა, კეთილს გზაზე დაყენება და სწორის მიმართულების მიცემა საძნელო და პასუხსაგები მოვალეობაა, რომლის ღირსეულად შესრულებაც დიდს მხნეობას, ცოდნასა და გამჭრიახობას მოითხოვს. ცხოვრება ჩქარის ნაბიჯით წინ მიისწრაფის, სოციალური ურთიერთობა რთულდება, მეცნიერება თანდათან ვითარდება და ამის მიხედვით აზრთა მსვლელობაც სულ სხვა მიმართულებას იღებს. ჭეშმარიტ მეთაურს, ჭეშმარიტ მასწავლებელს ამ გართულებულ ცხოვრების ალღო უნდა ჰქონდეს აღებული, ჭეშმარიტი მასწავლებელი ცხოვრების და მეცნიერების განვითარებას კვალდაკვალ უნდა მისდევდეს, თუ მართლა სურს, რომ ახალთაობას ნამდვილი მეთაურობა გაუწიოს. ამიტომ საჭიროა, მასწავლებელს იმდენი თავისუფალი დრო ჰქონდეს, რომ ცხოვრებას უკან არ ჩამორჩეს, თანამედროვე მეცნიერებისა და აზრთა მსვლელობის უმეცარი არ გახდეს და მით უღირსი ხელმძღვანელობა არ გაუწიოს მომავალ ახალთაობას. მასწავლებელმა რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი მეტად საძნელო და პასუხსაგები მოვალეობა, რჩევის აზრით, საჭიროა იგი კვირაში აძლევდეს არა უმეტეს 18 გაკვეთილისა.

მასწავლებელი მთელს თავის შრომას, ენერგიასა და მოცალეობას სკოლას უნდა ახმარებდეს და, ამიტომ, რასაკვირველია, ცხოვრების სახსარსაც სკოლიდანვე უნდა იღებდეს. ამჟამად მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობა საზოგადოდ ვერაა უზრუნველყოფილი. მასწავლებელი შედარებით მცირე ჯამაგირს იღებს, ასე, რომ არ შეუძლიან ცხოვრების უსაჭიროესი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, და ამიტომ სკოლის გარეშეც უნდა იშრომოს. აშკარაა, რომ მასწავლებლის სკოლის გარეშე შრომა და მოღვაწეობა მეტად ხელს შეუშლის სკოლის ნაყოფიერად მოქმედებას. ამიტომ რჩევას საქმის საკეთილოდ მიაჩნია, მასწავლებელმა რომ მთელი თავისი შრომა სკოლას შესწიროს და შედარებით რიგიანადაც იცხოვროს, თვითოეულ წლიურ გაკვეთილში ჯამაგირად 150 მანათი მიეცეს იმ პირობით, რომ ბინის ფასი, ხუთი წლის ნამსახურების ჯილდო, აღმზრდელობის და კლასის დამრიგებლობისათვის ჯამაგირი გაუქმდეს. ამასთანავე მოსამზადებელ და გიმნაზიურ კლასების მასწავლებლები თანაბრად უნდა იღებდნენ ჯამაგს, რადგან მოსამზადებელ კლასებში სწავლება არა ნაკლებს შრომასა და პასუხისგებას მოითხოვს. სხვა სასწავლებლების მაგალითი ჩვენის სკოლისათვის მოსატანი არაა, რადგან მოსამზადებელ კლასების მასწავლებლების აწინდელის ჯამაგირით დაჯილდოვება უსამართლობაზედაა დამყარებული და ჩვენს განახლებულს სკოლაში ასეთს უსამართლობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მასწავლებელმა რომ ენერგიულად იშრომოს სკოლაში, საკმარისი არაა მარტო წლითი-წლობით უზრუნველ ჰყო იგი ნივთიერად. მასწავლებლობა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ძლიერ საძნელო საქმეა, და მაშასადამე ეს მძიმე ტვირთი რამდენისამე წლის ენერგიულად შრომის შემდეგ აუძლურებს მასწავლებელს და უკარგავს შრომის უნარს. აი, ამ შემთხვევისათვის სკოლა მოვალეა, თავისი ერთგულნი მუშაკნი, უკვე შრომის უნარს მოკლებულნი, უზრუნველ ჰყოს ნივთიერად და სათანადო პენსია დაუნიშნოს. პედაგოგიურ რჩევას შესაძლებლად მიაჩნია, დარჩეს ჯერ-ჯერობით აწ არსებული საპენსიო წესდება, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ ყველა მასწავლებელი თანაბრად იღებდეს პენსიას. სრულის პენსიის მიღებისათვის, რომლის რაოდენობა 1,200 მანეთით განისაზღვრება, საჭიროა 15 წლის სამსახური არსებულ წესდებაში ნაჩვენებ 20 წლის მაგივრად. მასწავლებელს 10 წლის სამსახურის შემდეგ ეძლევა უფლება სრულის პენსიის ორი მესამედი მიიღოს. პენსიის დამსახურების შემდეგ თვითოეულმა მასწავლებელმა უთუოდ სკოლას თავი უნდა დაანებოს. თუ საჭიროება მოითხოვს, მასწავლებლებს ჯამაგირიდან დაეჭიროს 10 პროცენტი საპენსიო თანხის გასადიდებლად.

ამჟამად მასწავლებლების მოწვევის დროს უმთავრესს ყურადღებას აქცევენ ამა თუ იმ კანდიდატის დიპლომს, საშუალო ან უმაღლესის სასწავლებლის დამთავრების მოწმობას. მასწავლებლის უნარი და საქმიანობა ამ მოწმობების მიხედვით იზომება, რასაც, როგორც ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაგვარწმუნა, ძლიერ ცუდი და არა სასურველი შედეგი მოსდევს. ამიტომ რჩევას საქმის საკეთილოდ მიაჩნია, მასწავლებლების მოწვევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატის მხოლოდ პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას და არა უმნიშვნელო მოწმობას, რომელიც ვერავითარ საიმედო თავდებობას მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭისა და ნაყოფიერად საქმიანობისა.

ქალებმა, დიდი ხანია, დაამტკიცეს თავიანთი ნიჭი და უნარი პედაგოგიურ ასპარეზზე და ამიტომ საჭიროა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ქალებსაც იგივე უფლება ჰქონდეთ მასწავლებლობისა, როგორც მამაკაცებს აქვთ.

2. პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, მოსწავლის სწავლება და მით უფრო აღზრდა, ყოვლად შეუძლებელია, თუ მასწავლებელი მოსწავლეს კარგად არ იცნობს. მასწავლებელი ხედავს მოსწავლეს კლასში მხოლოდ რამდენისამე საათით და ისიც ისეთს პირობებში, როცა ყმაწვილის ინდივიდუალური თვისებები, ყმაწვილის სული და გული, ყმაწვილის მთელი არსება შებოჭილია ერთგვარის საკლასო დისციპლინით. მოსწავლის მთელი სულიერი არსება იფურჩქნება მხოლოდ დასვენებისა და თამაშობის დროს, სწორედ მაშინ, როცა იგი შევიწროვებული არაა არავითა-

ბია და ცხარე კამათით არკვევს იმ აზრს, რომ რუსებს მამულიშვილური გრძნობა ჩამქრალი აქვთო. ცუსიმას ბრძოლა საუცხოვო მაგალითია ამისიო. გულგრილად აღნიშნავს უცხოეთის პრესსა რუსეთის განადგურებას და იმ დაუდევრობას, რაც რუსეთის ხალხმა ამ სამარცხვინო დამარცხების მერე გამოიჩინა. მთელი ფლოტი დაიღუპა, ათი-ათასობით მსხვერპლი შეიწირა ბრძოლამ, რუსეთის მთელი ილუზია ზღვაზე გაბატონებისა გაქარწყლდა და ხალხი კი სდუმსო...

არა, არა სდუმს ხალხი, ის ხმას იღებს იმდენად, რამდენადაც შეუძლიან ამ პოლიციურ წეს-წყობილებაში, სადაც ყოველივე დაწყებულებას სათავეშივე სულსა ხუთავენ... თითქმის ყველა ქალაქებმა ხმა აღიმაღლეს, თითქმის ყველა თხოულობს ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევას... პეტერბურგი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, სიმფეროპოლი და მრავალი სხვა უტყუარი საბუთია ამისი.

ხალხი ყველგან ცდილობდა თავისი გულის წყრომა გამოეცხადებინა, მაგრამ ჩვენი ფხიზელი და მარჯვე პოლიცია ყველგან ყელში სწვდებოდა მცირეოდენ მოძრაობას.

მალე თავისუფალი გზა მიეცემა ხალხის გულის ნადებს. მაშინ დაინახავს მთელი ევროპა, თუ როგორი სისწრაფით აზღვავდება და დაექანება აზეირთებული გულის-წყრომა ხალხისა მთელის ბიუროკრატიულ უსამართლობის წასალეკავადაო.

**ტოგოს გამარჯვება და უნარი.** უმთავრესი ძალა იაპონიის გამარჯვებისა ისიც იყო, რომ ტოგო ყოველთვის მოხერხებულად ჰმალავდა თავის მოქმედების გეგმას და ესკადრის საფარს. ტოგოს მეცადინეობით ჩინელებმა როჟესტვენსკი დაარწმუნეს, რომ ტოგოს ესკადრა ორნაწილად აქვს გაყოფილი—ერთი ცუგარისა და მეორე ლაპერუზის სრუტეში უდგიაო. როდესაც როჟესტვენსკი ცუსიმას დაუპირდაპირდა, იაპონიის დაძველებული გემები შეამჩნია. ესეც ტოგოს საომარი ხერხი იყო. ამ სახით წაიტყუილა როჟესტვენსკი, მაგრამ, როდესაც როჟესტვენსკი ამ გემებისკენ გაემართა, ტოგოს ესკადრა ორივე მხრივ გამოეცხადა და შუაში გამოიმწყვდია. ტოგომ სათევზაო ნავებიც კი გამოიყენა ბრძოლაში. ნაღმები დაურიგა და დანიშნულ დროს ნიშანი მისცა. რამდენიმე ასი სათევზაო გემი, ნაღმოსნებთან ერთად გარს შემოერტყა როჟესტვენსკის ესკადრას და ნაღმები მოჰფინა მის გარეშემო. თუმცა ბევრი მათგანი ჩაღუპეს რუსებმა, მაგრამ ტოგოს დიდი სამსახური გაუწიეს მათ და ბრძოლის მოგებას ხელი შეუწყეს. საოცარი სანახავი იყო, როდესაც ეს ცეროდენა ნავტიკები უშიშრად და მედგრად ესროდნენ რუსეთის გოლიათ—ჯავშნოსნებსაო (რ. ვ.).

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

**ქუთაისი, 31 მაისი.** დღეს საადგილ-მამულო ბანკის დირექტორებად არჩეულ იქმნენ ვასილ აბულაძე, 102 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 39, და ნიკო თავდგირიძე, რომელმაც ყუთი შემთხვევით დაიდგა აბიოეჯიბის წინააღმდეგ. თავდგირიძემ მიიღო 70 შავი და 72 თეთრი.

**ქუთაისი, 31 მაისი.** ცხარე აგიტაციის შემდეგ. დამზღვევ საზოგადოების მესამე დირექტორად არჩეულ იქმნა იოსებ ჭილაძე.

საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთ დაადგინეს, მთავრობის ოპეკისა და მისგან დანიშნულ თავჯდომარესაგან ბანკი გაანთავისუფლონ.

გუშინ თეატრის სადგომში, აურაცხელ ხალხის თანასწრებით, ირჩეოდა საქმე მესხიშვილისა და ახალგაზრდა არტისტების ერთის ჯგუფისა, რომელიც გამოწვეულია ეთიკურ, მატერიალურ და არა-ამხანაგურ დამოკიდებულებით რადგანაც დრო აღარ იყო, კრება გადიდო. არჩეულ იქმნენ მედიატორები.

**ქუთაისი, 31 მაისი.** გუშინ სოფელ ჭოლევში თავი მოიწამლა და გარდაიცვალა განსვენებულ ილია ჰიჰინაძის მეუღლე. თავის მოწამლვა გამოიწვია ქმრის სიკვდილმა.

## ახალი ამბავი

◆ კოდის სოფლის საზოგადოების **მამასახლისმა აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს:** ჩემდამო რწმუნებულ საზოგადოების გლეხები არავითარ გარდასახადს აღარ იხდიან და გთხოვთ, რამე ღონისძიება მიიღოთო.

◆ გუშინდლიდან **ქალაქის საყასბოში საქონელს ხოცავენ ჯარის-კაცნი** და ფურგუნებით წამოღებულ ხორცს ქალაქის დუქნებამდის კაზაკები მოსდევენ.

◆ წუხელის, 8 1/2 საათზე თამამშევის ქარვასლის წინ ვიღაც ყმაწვილმა კაცმა **სამჯერ ესროლა რევოლვერი პოლიციელს და იქვე მოჰკლა.** მკვლელი შეიპყრეს.

◆ როგორც სამეგრელოდან გვატყობინებენ, იქ **შიმშილობა ჩამოვარდნილა.** სიმინდის უქონლობისა გამო, მცხოვრებნი გამგზავრებულან კავკავისა და არმავირისკენ სიმინდის შესასყიდად.

◆ გუშინ, 31 მაისს, **კავკასიის ტყის უფროსების კრება დამთავრდა.** კრებამ დაადგინა: შემოღებულ იქმნას ერობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მონასტრებისა და ეკლესიების მიწებით დასაჩუქრების მოსპობა, გადმოსახლების საქმის შეჩერება და მცირე-მამულიან გლეხების მამულებით დაჯილდოვება, ტყის გამგეების-მიერ აუცილებლივ ადგილობრივ ენების ცოდნა და სატყეო საშუალო სკოლის დაარსება, სადაც ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, უნდა ჰქონდეს სწავლის ნება.

◆ გუშინ, 31 მაისს, საბჭოს დარბაზში **კრება ჰქონდათ წვრილ მოვაჭრეებს,** რომელთაც ქალაქის თავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა განუცხადა, გუბერნატორის ნებადაურთველად კრების გამართვის ნებას ვერ მოგცემთო. ვაჭრებმა მაინც დაადგინეს, განაგრძონ გაფიცვა, ვიდრე მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

◆ დღეს, 1 ივნისს, **სატეხნიკო სასწავლებლის უფროს კლასებში იწყება ეგზამენები,** რომელიც გასტანს 10 ივნისამდის. კურს ათავებს სულ 28 კაცი. ამათგან 16 კაცი ციმბირის გზაზე შედის სამსახურში.

◆ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიამ მიიღო პეტერბურგიდან 100 ცალი „რაზსვეტ"-ის 59 ნომრისა, რომელშიაც მოთავსებულია ვრცელი **წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ**—ამ სათაურით: „Печальнѣйшее положеніе грузинской церкви". ფასი ნომრისა 5 კაპ. ეს წერილი „პეტერბურგის უწყებებშიაც" არის დაბეჭდილი. (№ 105, 106 და 110).

◆ **უსახელო საზოგადოების მოსამსახურენი და დირექცია შემდეგ პირობებზე მორიგდნენ:** კონტროლებსა და სადგურის უფროსებს ჯამაგირად უნდა მიეცეთ დღეში 1 მ. 50 კ. და ექვს თვეში ერთხელ მომატება, ვიდრე დღეში ორი მანათი არ გაუხდებათ. დანარჩენ მოსამსახურეებს ყოველ ექვს თვეშივე ერთხელ მოემატებათ თითო შაური მაქსიმუმამდე (1 მ. 50 კ.-მდე). მემანქანეებს უნდა მიეცეთ თვეში 75 მანათი, კაჩეგრებსა და სმაზჩიკებს—37 მანათი და 50 კაპ. თორმეტ საუფლო დღესასწაულებში ფასი ერთიორად, ახალწლისთვის საჩუქრებად 5 მანათი თითოს, ტანისამოსი დირექციის ხარჯზე, წელიწადში 5 დღის მიცემა შესასვენებლად ჯამაგირის შენახვით და ერთი თვე უჯამაგიროდ, წამლობა, როგორც მოსამსახურისა, ისე მის მეუღლისა და მცირე-წლოვან შვილებისა უფასოდ, ავადმყოფობის დროს თვე-ნახევრის განმავლობაში მიეცემათ ნახევარი ჯამაგირი და ერთ წელიწადს შეენახებათ ადგილი; თუ დაშავდა ან სამსახურის დროს რაიმე შეემთხვა, უნდა სამართლით იძიოს; საამხანაგო კომისიის არჩევა; დირექცია ამ კომისიის დაუკითხავად ვერავის ვერ დაითხოვს და, თუ დაითხოვს ხუთ წლამდე, რამდენი წელიწადიც უმსახურნია, იმდენის თვის ჯამაგირი უნდა მისცეს, ხოლო ხუთ წელზე მეტ ნამსახურს—ერთის წლის ჯამაგირი. უთანხმოება, რომელიც ამ კომისიასა და დირექციას შუა ჩამოვარდება, უნდა გაარჩიოს ქალაქის ზედამხედველმა კომისიამ. საზოგადოებამ ერთ-დროულად გადიხდა სამკითხველოთვის 300 მან. და ყოველ წლიურად იხდის 150 მანათს ოთახის განათებისა და გათბობისათვის. ამას გარდა, ურთი-ერთ დამხმარებელ კასისთვის იხდის 1000 მანათს.

◆ ორშაბათს, 30 მაისს, საბჭოს კრებაზე, რომელიც შესდგა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, წაკითხულ იქმნა ქალაქის მოურავის დეპეშა, რომლის შინაარსიც ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული. ხმოსნები დეპეშას ტაშის ცემით მიეგებნენ და, თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვის წინადადებით, დაადგინეს: გაგზავნონ დეპეშა მინისტრთა კომიტეტში, რომ ტფილისის ქალაქის საბჭო უერთდება რუსეთის ქალაქის მოურავების—მიერ დადგენილ რეზოლუციას და თავის მხრივადაც საჭიროდ სცნობს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დაჩქარებას. შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საქმეების გარჩევას; გაარჩია რამდენიმე საქმე და, სხვათა შორის, თხოვნა გიორგი ხიტაშვილისა. ხიტაშვილი ამ ერთის წლის წინად ქალაქის გამგეობაში მსახურობდა. როგორც ყველა მისი თანამოსამსახურე ამტკიცებს, ის იყო მშვიდი, კეთილ-სინდისიერი მუშაკი, მაგრამ მის უფროსს, ლალაიანცს, არ მოეწონა მისი სახე, ცილი დასწამა, გარყვნილ ხასიათის კაციაო, დაასმინა ქალაქის გამგეობასთან, და გამგეობამაც გამოუძიებლად იგი სამსახურიდან დაითხოვა. ბოლოს სიმართლემ თავი იჩინა, გამგეობა მიხვდა თავის დანაშაულს და ხიტაშვილს აღუთქვა სამსახურს ისევ მოგცემთო, მაგრამ ეს ორი თვეა, ყოველ-დღე გამგეობაში დადის და სამსახურს ვერ ეღირსა. ხიტაშვილი თხოულობდა ამ ორი თვის ჯამაგირს. საბჭომ გადასწყვიტა მისცეს ხიტაშვილს ხუთი თუმანი...

◆ სოფ. კომარლუსთან (ერევნის გუბერნია) ამ დღეებში მდინარე არაქსზე გამოდიოდნენ შეიარაღებული თათრები, რომელთაც ჯარის-კაცებმა სროლა აუტეხეს. მოკლულია 3 თათარი, დაჭრილია 6.

## „კეთილ-სინდისიერების" ნიმუში

„ს-პეტერბურგსკი ვედომოსტებში" ვწერდი, რომ სომხები და მუსულმანები, როგორც ეროვნებანი, როგორც მშრომელ ხალხის ჯგუფები—გლეხი, მუშა, ხელოსანი თუ მეწვრილმანე, აქამდე ჩინებულ კეთილ-განწყობილებაში სცხოვრობდნენ-მეთქი. მაგრამ ამას ხელს უშლიდნენ ბირჟაზე გაბატონებული შეძლებული კულტუროსნები. ისინი ძირს უთხრიდნენ ამ ერთიანობასა და მშვიდობიანს განწყობილებას და ამითი ჩვენს ბედკრულს მხარეს უფრო აბეჩავებდნენ. საკუთარ ჯიბის გასქელებასა და საკუთარს კეთილდღეობას ოსტატურად ეროვნულ ნიღაბს ქვეშ ასაღებდნენ და, რადგან ასეთი პირადი ინტერესები ხშირად აჯახებდნენ ერთმანეთს, მეტოქეობდნენ, შესაძლებლად ხდებოდა მძულვარების თესვა ერთა შორის ისეთ „კეთილ-სინიდისიერ" გაზეთების წყალობით, როგორიც გახლავთ „ბაქო". ეს ბურჟუაზია ისეთის ოსტატობით და თანდათანობით, ისეთის ანგარებითა და ცალმხრივობით მოქმედებდა, რომ ძნელი წარმოსადგენია: დასჭირდებოდათ ცენზის წამოყენება—წამოაყენებდნენ; სადაც მათთვის ხელსაყრელი იყო განსაკუთრებული კანონი—ფიცხლავ გამოსძებნიდნენ. ტფილისში, მაგალითად, ცენზით გაიტანეს ლელო, იმ ტფილისში, რომელიც საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქია და დღემდე საზოგადო თვითმართველობაში სულ რამდენიმე წარმომადგენელი თუ ყოფილა ქართველთაგანი.

განსაკუთრებული კანონები, როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობამ ებრაელების უფლებათა შესაზღუდავად და რუსების ინტერესთა დასაცველად გამოიგონა. სომხებმა თავისი თავი რუსების ალაგს გამოსჭიმეს, მუსულმანებს კი ებრაელების როლი დააკისრეს და ამ სახით შეზღუდეს მათი საარჩევნო უფლებანი. ცხადია, რა ფლიდი და ფარისეველური პოლიტიკაა. ყველგან, სადაც კი მუსულმანთა-მიერ არჩეულ თვითმართველობის წევრთა რიცხვი უწყებულს ნორმას ასცილდებოდა, რომელიც „არა-ქრისტიანთათვის, ე. ი. ებრაელებისთვის" იყო განიხრული, სომეხთა ბურჟუაზია თავს წამოჰყოფდა და განასაჩივრებდა არჩევნებს.

ამაოდ სცდილობდნენ მუსულმანები დაერწმუნებინათ ყველა, რომ იგინი რიცხვითაც და ეკონომიურადაც მაღლა სდგანან, რომ მათ მეტი უფლება უნდა ჰქონდეთ, მაგრამ სამართლიანობას ვერსად ჰპოულობდნენ. სომეხთა ბურჟუაზია ისე მოხერხებულად იქცეოდა, ისეთ ხრიკებს გამონახავდა ხოლმე, რომ მუსულმანთაგან სამართლის ძებნა რჩებოდა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

როდესაც სხვა ეროვნებათაც გამოიღვიძეს, ჩაუკვირდნენ თავის ყოფა-მდგომარეობას, თვალი დაჰკრეს მეზობელ ხალხის საქციელსა და კვალში ჩაუდგნენ დღევანდელ ცხოვრებას ასავალ-დასავალს და ბურჟუაზიასაც მოსთხოვეს აღლუგმით თავისი აღვირწახსნილი მადა, მეზობელ ერებთან კეთილი განწყობილება დაემყარებინათ,—როგორ მოიქცა სომხების ბურჟუაზია? უფრო მეტის სიკერპითა და თავხედობით გამოესარჩლა თავის „უპირატესობასა" და „საუნჯეს".

საზოგადო გამგეობანი, საკრებულონი, კლუბები, საბირჟო კომიტეტები და სხვა გამაღებული გადაეფარნენ თავის ყველა პრივილეგიასა და ათასი ხრიკი წაიმძღვარეს „უცხო ტომთა" გასარიყავად. ბოიკოტი, „ამშარი", „შავი რაზმები" და სხვა მარგალიტები მოჰფინეს მთელს ქვეყანას. და ბურჟუაზიის მცირე ჯგუფის კუდში გამობმული პრესსაც გულმოდგინედ შეუდგა ღვარძლისა და მძულვარების თესვას ეროვნებათა შორის. საუცხოვო მაგალითს მოგახსენებთ. ბაქოს საბჭოში შუამდგომლობა აღვძარ, რომ მუსულმანების საარჩევნო უფლება „ქრისტიანთა" უფლებისათვის გაეთანასწორებინათ. ეს გახლდათ იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთი „თანასწორობაზე" ლაპარაკობდა და სომეხთა ბურჟუაზიაც თითქო თანაუგრძნობდა ამ მოძრაობას. ნამდვილად კი ჩემს შუამდგომლობას დასცინეს, გულგრილად შეეგებნენ და მუსულმანთა უფლების გათანასწორებას ქრისტიანებთან ერთხმად წინააღუდგნენ. გაზეთმა „ბაქო"-მ, რომლის თაოსნობითაც „ბაკინსკია იზვესტიაც" გამოდიოდა მაშინ, კრინტიც არ დასძრა ამის გამო, მცირედაც არ გაჰკიცხა ასეთი საქციელი. მაშ განჯის არჩევნებზე რაღად ამღვრევია გული, რადა ბობოქრობს და ირონიულად, რად უწოდებს იქაურს არჩევნებს „კეთილ-სინდისიერობის მაგალითს?".

აი, მეორე ფაქტიც. „მშაკის" კორესპონდენტი განჯიდან იუწყება, განჯაში ქალაქის არჩევნებს ამგვარი შედეგი მოჰყვაო: ამომრჩეველი იყო: სომხები—224, მაჰმადიანები—229, რუსები—5; კენჭი იყარა: სომეხმა—60, მაჰმადიანმა—52; არჩეულ იქმნა: სომეხი—5, მაჰმადიანი—50, რუსი—0. შედეგი, როგორც ჰხედავთ, მოულოდნელი იყო, ტენდენციური, უსამართლო, რომელიც სჩაგრავს ერთ-ერთ ეროვნებასაო.

დიაღ, მე, მაჰმადიანი ალიევი, ვაღიარებ, რომ ამას მეც უსამართლოდა ვსცნობ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ „ბაქოს" რედაქციამაც იქონიოს ვაჟკაცობა და ტფილისისა, შუშისა და ერევნის არჩევნების შედეგი უსამართლოდ მიიჩნიოს. მაგრამ, რადგან ის ამას არ სჩადის, მეც მის გულის წყრომას ყურადღებას არ ვაქცევ და განჯის არჩევნებს ვუყურებ, როგორც სამაგიეროს გადახდას: რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკი.

რას ეძახის „ბაქოს" რედაქცია საზოგადოდ თვითმმართველობას? თუ ეს ის უფლებაა, რომელიც მცხოვრებთ ადგილობრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლადა და ეკონომიურ საქმეების წინ გასაძღოლად უნდა მიენიჭოს, მაშინ განჯელებს ეს უფლება არ დაურღვევიათ და ისევე მოქცეულან, როგორც მოიქცა ტფილისი, შუშა და ერევანი. და თუ ეს უფლება ისე უნდა გავიგოთ, როგორც კაპიტალისტების ერთი ჯგუფის „მზრუნველობა" სხვა დანარჩენ მცხოვრებლებზე, მაშინ, უკაცრავადა ვარ, მაჰმადიანებმა 25 წლის ოპეკის შემდეგ კარგად შეიგნეს თავისი სიდუხჭირე და აღარა სურთ ბავშვობანა ითამაშონ („კასპი").

ა. ალიევი.

## პრესსა

ბულიგინისაგან შედგენილი პროექტი, რომელიც ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის წესრიგსა და საფუძველს განსაზღვრავს, საერთოდ

რის დისციპლინით, როცა იგი თვითონვე თავის თავის პატრონია და ანგარიშს არავის არ აძლევს ამა თუ იმ მოქმედებისთვის. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის გაკვეთილების შემდეგ თითქმის ყოველივე კავშირი სწყდება, მასწავლებლის თანდაუსწრებლად, მასწავლებლის სრულიად გარეშე მიმდინარეობს ის საინტერესო მომენტი, როცა მოსწავლე სრულიად თავისუფლად სუნთქავს, სრულიად ძალდაუტანებლივ ერთობა და თამაშობს, როცა იგი თავის მთელს სულიერ მოძრაობას მაყურებელთ თვალწინ უშლის. მასწავლებელი მხოლოდ მაშინ გაიცნობს მოსწავლეს, როცა იგი მასწავლებლისა და აღმზრდელის სახით მუდამ ბავშვებს თავს დასტრიალებს, როცა იგი ბავშვების ჭირისა და ლხინის გულახდილი მოზიარეა. ამიტომ რჩევას გონივრულ ზომად მიაჩნია, რომ ჩვენს რამდენიმე მაინც განახლებულს სკოლაში მასწავლებლისა და აღმზრდელის თანამდებობას ასრულებდეს ერთი და იგივე პირი, რომ ეს ორი განუყრელი თანამდებობა შეერთებულ იქმნას სკოლის საკეთილდღეოდ.

3. ყოველი სკოლა უძლურია, მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურად აწარმოვოს, თუ კეთილ-განწყობილი ოჯახი მას ხელს არ უწყობს, დახმარებას არ აძლევს. ამიტომ განახლებულ სკოლის მასწავლებლების მოვალეობად უნდა ჩაითვალოს, ხშირად დროგამოშვებით მოსწავლეების მშობლებთან საუბარი სხვადასხვა პედაგოგიურ კითხვების შესახებ და ამნაირად დაამყარონ სკოლასა და ოჯახს შორის ის ზნეობრივი კავშირი, რომელსაც ასე საჭიროებს თანამედროვე განმარტოებული სკოლა. სკოლასა და ოჯახს შორის ეს კავშირი უფრო რომ გამაგრდეს, რჩევას საჭიროდ მიაჩნია, სკოლის საქველმოქმედო ნაწილის გამგეობა კომიტეტსა და მოსწავლეების მშობლების მიერ არჩეულ წრეს გადაეცეს საწარმოებლად.

4. ამჟამად სკოლის მთელს საქმეებს აწარმოებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლო მოსწავლეების დამხმარებელ საზოგადოების მიერ არჩეული გამგე კომიტეტი, რომელიც შვიდის წევრისაგან შესდგება. თანახმად არსებულ წესდებისა, კომიტეტს უფლება აქვს აწარმოვოს და განაგოს არა მარტო სკოლის სამეურნეო ნაწილი, არამედ სასწავლო ნაწილიც კი. კომიტეტმა თუ წესდების მიერ მინიჭებულ უფლებით სავსებით ისარგებლა, პედაგოგიურ რჩევის მნიშვნელობა თითქმის სრულიად უქმდება. კომიტეტს სრული უფლება აქვს, მოიწვიოს და დაითხოვოს ესა თუ ის მასწავლებელი, ანუ სკოლის სხვა რომელიმე მოსამსახურე პირი, არ დაეთანხმოს და გააუქმოს პედაგოგიურ რჩევის თვითოეული უმნიშვნელო გადაწყვეტილებაც კი. კომიტეტს სრული უფლება აქვს გაერიოს სკოლის ყოველგვარ შინაურ საქმეებში და ამნაირად პედაგოგიურ რჩევის მნიშვნელობა ფაქტიურად მოსპოს. გამგე კომიტეტისთვის ასეთის უფლებების მინიჭებით წესდება და სკოლაში დამყარებული აწინდელი პრაქტიკა კერძოდ მასწავლებლებს და საერთოდ მთელს პედაგოგიურ რჩევას მეტად შევიწროვებულ მდგომარეობაში აყენებს. მასწავლებელს უფლება აქვს მინიჭებული მხოლოდ გაკვეთილები აძლიოს, პედაგოგიურ რჩევას კი—მხოლოდ ითათბიროს ამა თუ იმ პედაგოგიურ საკითხის შესახებ. პედაგოგიური რჩევა ასეთის უფლების განაწილებით ვერც ერთს სერიოზულ პედაგოგიურ ზომის განხორციელებას ვერ ახერხებს სკოლაში დამოუკიდებლად, რადგან, წესდების ძალით, პედაგოგიურ რჩევის თვითოეული გადაწყვეტილება კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს და დაადასტუროს. მასწავლებლების უფლებათა განსაზღვრა მხოლოდ გაკვეთილების მიცემით და პედაგოგიურ რჩევის თითქმის სათათბირო ორგანოდ დასახვა საქმის კეთილად წარმოებას მეტად ხელს უშლის. ნაყოფიერად მოღვაწეობა ორის ორგანოსი, რომელთაგან ერთი სრულის უფლებებითაა აღჭურვილი და მეორე კი თითქმის ყოველგვარ უფლებას მოკლებულია, პრაქტიკულად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ყოველთვის ასე ყოფილა და მომავალშიაც ასე იქნება, რომ უფლებამოსილ და ამავე უფლებას მოკლებულ ორგანოთა შორის აღიმართება ჩინური ზღუდე, დამყარდება მათ შორის სრული უკმაყოფილება, რაიცა ძირს გამოუთხრის იმ საერთო საქმეს, რომლის სასამსახუროდ და საკეთილდღეოდ მოწოდებულია ორივე ორგანო. დღეს-დღეობით არავისთვის დაფარული არაა, რომ კომიტეტისა და პედაგოგიურ რჩევის შორის სწორედ ამ უკანასკნელი ორგანოს უუფლებობის გამო, არა თუ სასურველი სოლიდარობა არ არსებობს, პირიქით, განხეთქილებაც კია. გამგე კომიტეტი ეჭვისა და უნდობლობის თვალით შეჰყურებს მასწავლებელთა კორპორაციას, პედაგოგიურ საბჭოს თითქმის თვითოეულს გადაწყვეტილებას; მასწავლებლები თავის მხრით ასეთსავე უნდობლობას უცხადებენ გამგე კომიტეტს და, ამ რიგად, რასაკვირველია, სკოლის კეთილად წარმოების საქმე მეტად ფერხდება. ასეთის status quo-ს დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ რჩევას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ პედაგოგიური საბჭო სკოლის შინაურ მართვა-გამგეობაში დამოუკიდებელ ორგანოდ იქმნას აღიარებული, გამგე კომიტეტს უფლება არა ჰქონდეს სკოლის შინაურ ცხოვრებაში გარევისა. კომიტეტი დარჩება მხოლოდ სარევიზიო და მეთვალყურე ორგანოდ, რომელიც საჭიროების მიხედვით წარუდგენს თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას თავის მოსაზრებას სკოლის მდგომარეობის შესახებ.

5. რაკი პედაგოგიური საბჭო დამოუკიდებელ ორგანოდ იქნება აღიარებული, რაკი პედაგოგიური საბჭო იქმნება უმაღლესი გამგე სკოლის მთელის სამოსწავლო ნაწილისა, ამიტომ, რასაკვირველია, მასწავლებელთა მთელი კორპორაცია უნდა იყოს პასუხის მგებელიც საზოგადო კრების წინაშე სკოლის კეთილდღეობის ყოველსავე საქმეში.

6. სკოლის წარმოება მეტად ცოცხალი საქმეა. სკოლის კეთილად წარმოება მოითხოვს დიდს სოლიდარობასა და საერთოდ შეთანხმებას მასწავლებლების მხრით. თუ ასეთი განწყობილება არ არსებობს მასწავლებელთა შორის, სკოლის ნაყოფიერად წარმოება შეუძლებელია. ამჟამად სკოლის გამგისა და მასწავლებლების მოწვევა კომიტეტის სრული უფლებაა. კომიტეტი, რასაკვირველია, სავსებით სარგებლობს ამ უფლებით და თავის შეხედულებით ნიშნავს, როგორც გამგეს, ისე მასწავლებლებსაც. ადვილად შესაძლებელია, რომ კომიტეტმა ძლიერ კარგი გამგე და მასწავლებელიც მოიწვიოს, მაგრამ ისიც ადვილად შესაძლებელია, რომ ეს გამგე და მასწავლებელი ვერ შეთანხმდეს დანარჩენს მასწავლებლებთან, ვერ დაიჭიროს მათთან კეთილ-განწყობილება საერთო სამოღვაწეოდ და ამრიგად სკოლის საზიანოდ დისჰარმონია შეიტანოს მასწავლებელთა კორპორაციაში. მასწავლებელს უნდა ეკითხებოდეს, ვისთან მოუხდება მას მოღვაწეობა, საერთო უღელის წევა, სასურველია ესა თუ ის პირი მისთვის, შესძლებს იგი ამ ახლად მოწვეულ პირთან საერთო შრომასა და მოღვაწეობას! დიაღ, ყველგან, სადაც სოციალური ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს, საზოგადო საქმეთა წარმოება მჭიდროდ დაკავშირებულია იმ გონივრულ პრინციპთან, რომელსაც არჩევანთა პრინციპს ეძახიან. ამიტომ რჩევას აუცილებელ საჭიროებად და სადღეისოდ მიაჩნია, რომ პედაგოგიური საბჭო ირჩევდეს გამგეს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა მოსამსახურე პირთ. პედაგოგიური საბჭო სკოლის გამგეს სამის წლის ვადით ირჩევს. საბჭოს უფლება უნდა ჰქონდეს გამგე დასახელებულ ვადამდე გადააყენოს, თუ საჭიროება მოითხოვს, მხოლოდ კანონიერ გასამართლების შემდეგ.

7. რაკი მასწავლებლებს დაეკისრებათ აღმზრდელების მოვალეობა, რაკი მასწავლებელთა მთელი კორპორაცია მოწოდებულ იქმნება სამოსწავლო ნაწილის ყველა სფერაში იმოღვაწეოს, ამიტომ პედაგოგიურ რჩევას საფუძვლიანად მიაჩნია სკოლის გამგის თანაშემწეთა თანამდებობის გაუქმება. თანაშემწეების მოვალეობას აღასრულებენ თვით პედაგოგიურ საბჭოს წევრები. ამ თანამდებობის გაუქმება საქმის კეთილად წარმართვას ხელს არ შეუშლის, მატერიალურის მხრით კი სკოლას დიდს შეღავათს მიცემს.

8. სწავლების ნაყოფიერებას მეტად აფერხებს, როცა თვითოეულ კლასში მოსწავლეების რაოდენობა ნორმას აღემატება. ყოველი კეთილ-განწყობილი სასწავლებელი ცდილობს სკოლის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად თვითოეულ კლასში მოსწავლეების რაოდენობა შეძლებისადაგვარად შეამციროს. მართალია, მოსწავლეების რაოდენობის შემცირება, მრავალს მოსწავლეს დასტოვებს სკოლის გარეშე, მაგრამ ისევ ისა სჯობია, რომ სკოლამ ჭეშმარიტად უწინამძღვროს მოსწავლეთა განსაზღვრულ რაოდენობას, სანამ ერთსა და იმავე კლასში მოათავსოს ნორმაზე გადამეტებული რიცხვი და მით უმეტესობა ააცდინოს სწორსა და ჭეშმარიტს გზას. სწავლის საქმე რომ რიგიანად წაიდეს, საჭიროა თვითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ოცდა-ხუთს არ აღემატებოდეს. კიდევაც რომ არსებულ კლასებთან დაარსდეს პარალელური განყოფილებანიც, მთელს სასწავლებელში საერთო რიცხვი 600 მოსწავლეს არ აღემატება და სასწავლებლის ასეთი მართვა-გამგეობა მაინც-და-მაინც საძნელო არ იქმნება. თუ თვითოეულ კლასში ჩვეულებრივ ნორმად მოხსენებული რაოდენობა დაწესდა, რჩევა ღრმად დარწმუნებულია, რომ სკოლაში სწავლის საქმე ერთი-ორად უფრო კარგად წავა.

9. სკოლა და სკოლის მართვა-გამგეობა საზოგადო საქმეა. საზოგადოება მრავალგვარადაა დაინტერესებული სკოლის კეთილდღეობის საქმეში და ამიტომ მას საშუალებაც უნდა ჰქონდეს, ყოველთვის თვალყური ადევნოს სკოლის შინაურ ვითარებას. საზოგადოებამ ნამდვილად უნდა იცოდეს, რა ხდება სკოლაში, როგორ მოღვაწეობას ეწევა ესა თუ ის სკოლის მოსამსახურე პირი. საზოგადოების სამართლიანი კონტროლი, საზოგადოების პირუთვნელი კრიტიკა საქმის კეთილად წარმოებას ერთი-ორად ხელს შეუწყობს, სკოლის ნაყოფიერებას გააორკეცებს. საზოგადოების სამართლიანის კონტროლის შემწეობით სკოლას ჩამოშორდება ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც ამჟამად მის წარმატებას ძირს უთხრის და დღითი-დღე შეუმჩნევლად ასუსტებს. ამიტომ პედაგოგიურ რჩევის სხდომები, აუცილებლად საჭიროა, იმართებოდეს პრესსის წარმომადგენლებისა და კომიტეტის წევრების თანადასწრებით, რომელთაც მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება უნდა მიენიჭოთ. პრესსის საშუალებით საზოგადოება მუდამ ჟამს თვალყურს ადევნებს სკოლის ავკარგიანობას.

10. მოსწავლეების მშობლები, რასაკვირველია, დიდად დაინტერესებულნი არიან სკოლის საქმეებში და, მაშასადამე, მათი მონაწილეობა მეტად სასურველია პედაგოგიურ სხდომებზე. მაგრამ ასეთ მონაწილეობის მიღება მრავალ-გვარად შეაფერხებს რჩევის ნაყოფიერად მოქმედებას. ადვილად მოსალოდნელია, რომ პედაგოგიურ რჩევის სხდომებზე მრავლად დაესწრონ მშობლები ან მათი წარმომადგენლები. ყოველ მრავალ-რიცხოვან კრების უმთავრესი ხასიათი ისაა, რომ სულ უბრალო საკითხი მთელ დაუსრულებელ კამათად გადაიქცევა და ისიც გამოურკვეველი დარჩება. რაიცა შეეხება რთულისა და სპეციალურ კითხვების განსჯა-განხილვას, ეს ხომ სრულიად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ამნაირად საჩქაროდ გადასაწყვეტი კითხვები კრებიდან კრებამდის გადაიდება და ასეთს საქმის გაჭიანურებას დასასრული არ ექნება. რაკი პედაგოგიურ რჩევის სხდომებზე პრესსის წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ და, მაშასადამე, მშობლებს შეძლება ეძლევათ პრესსის საშუალებით თვალყური ადევნონ სკოლის ავკარგიანობას, რჩევამ საჭიროდ დაინახა მოიწვიოს პედაგოგიურ რჩევის კრებებზე მხოლოდ ის მშობლები, რომელთა შვილების „ბედ-იღბალი" უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ კრებაზე და მიანიჭოს მათ გადამწყვეტი ხმის უფლება.

11. ამჟამად სკოლაში სწავლის ფული წლიურად თორმეტი მანათია დაწესებული. პედაგოგიური რჩევა მოსწავლეების სამ მეოთხედს ანთავისუფლებს სწავლის ფულის შემოტანისაგან.

მთელმა მოწინავე პრესამ დაჰგმო და უარჰყო. ამ პროექტით მხოლოდ რაღაც ნასახი უნდა იქმნას შემოღებული პარლამენტისა და სახალხო წარმომადგენლობისა. გაზ. „ნაშა ჟიზნ“ სწერს ამ პროექტის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგს:

ბულიგინის კომისიას საარჩევნო კანონების გამოსარკვევად არსებულ ერობათა და საბჭოებისათვის რომ მიემართა, ჩვენ საწინააღმდეგო არა გვექნებოდა-რა, რადგან კარგად ვიცით საბჭოების და ერობის დღევანდელი მიმართულება, რომ ისინი ბულიგინის კომისიას უტყუარ გზას უჩვენებდნენ დღევანდელ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ხალხის წარმომადგენელთა აუცილებელ მოწვევაზე მიუთითებდნენ. პროექტი ბულიგინის კომისიისა კი, როგორც ეტყობა, 1864 წლის ერობის საარჩევნო სისტემას განამტკიცებს და, მაშასადამე, მომავალ სახელმწიფო საბჭოს ძველს ერობას გაუთანასწორებს. გარდა ამისა, ეს პროექტი აწ არსებულ სახელმწიფო საბჭოს მსგავს მეორე პალატას აწესებს, ხოლო სახელმწიფო საბჭოში, როგორც ვიცით, ინიშნებიან არა საქმისთვის სასარგებლო მოღვაწენი, არამედ სამსახურიდან გადამდგარი მოხელეები, რომელთაც, პენსიის მაგიერად, წინანდელი ჯამაგირი სავსებით ეძლევათ. ნუ თუ ხალხის წარმომადგენელთა დადგენილებანი ამ საბჭომ უნდა შეიწყნაროს და უარჰყოს?!

# რუსეთი

შინაგან საქმეთა მინისტრს ბულიგინს სამსახურიდან გადადგომა უთხოვნია. მიზეზად შემდეგი დაუსახელებია: **ხელმწიფემ ისეთის საქმის განხორციელება მომანდო, რაცა ჩემს ძალღონეს აღემატებაო.** მისს მოადგილედ ასახელებენ დ. ტ. სოვ. ტანეევსა და თავ. ობოლენსკის. (ჩ. პ.).

✦ პორტ-არტურის სახელოსნოებისა და დოკების მუშებს მთავრობა დაჰპირდა,—ოღონდ ერთგულად იმუშავეთ და, რამდენსაც მოგვთხოვთ, მოგართმევთო. მუშები დასთანხმდნენ. როდესაც პორტ-არტური იაპონელებმა აიღეს, რუსებმა მუშებს უთხრეს,—11 თვის ჯამაგირს პეტერბურგში მიიღებთ ადმირალტეისტვოდანაო. მუშებმა არა-ერთხელ მიჰმართეს ადმირალტეისტვოს, მაგრამ ამაოდ. 18 მაისს მუშები ერთად შეიკრიბნენ, გაემართნენ ადმირალტეისტვოს კანტორისაკენ და მოსთხოვეს: **შიმშილით ვიხოცებით, 16 თვე უკან დაგდევთ, მოგვეცით ჩვენი 11 თვის ჯამაგირიო.** მუშები ჯერაც არ დაუკმაყოფილებიათ. (რ. ს.).

✦ ბერლინის გაზეთებს პეტერბურგელი კორესპონდენტები ატყობინებენ, კიდეც რომ მოიწვიონ საერო კრება, **ომის განგრძობისა ან მოსპობის გადაწყვეტის ნება მაინც არ ექმნება**, რადგანაც პეტერბურგის ბობოლა ბიუროკრატებმა უკვე გადასწყვიტეს,—ომი უთუოდ უნდა განვაგრძოთ და იაპონია უნდა დავამარცხოთო (რ.).

✦ შორეულ აღმოსავლეთის **ნამესტნიკის კანცელარია ძალიან ხელ-გაშლილი ყოფილა:** კანცელარია პეტერბურგში ევროპის სასტუმროშია მოთავსებული და დღე-ღამეში 120 მანათს იხდის! (ნ. ქ.).

✦ ფინანსთა მინისტრსა სთხოვეს ნევის ქარხნის მუშებმა: **დღეში ცხრა საათის სამუშაო დრო დააწესეთო.** მინისტრს არ შეუწყნარებია მუშათა თხოვნა: მე თვითონ დღე-ღამეში 12 საათსა ვმუშაობო (რუს).

✦ როგორც ვიცით, რიგაში დღე ისე არ გაივლის, რომ **პოლიციელთა და ჯაშუშთა მკვლელობა არ მოხდეს.** ამ გარემოებას ისე უმოქმედნია რიგის საიდუმლო პოლიციის უფროს კიშკოზე, რომ **ჭკუაზე შემცდარა.** მის თანამდებობის ასრულება სხვას მიანდეს. (ნოვ.).

✦ **კოლიაევის წერილი.** დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელს კოლიაევს, რომელსაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, სიკვდილის წინ შემდეგი წერილი დაუტოვებია დედისა და დის მიმართ: „ჩემო ძვირფასნო! ჩვენ ისე მოკლე ხნით ვინახულეთ ერთმანეთი, რომ ვერაფერის თქმას ვერ მოვასწრებდით; ეჭვი არაა, ჩემი ხვედრი გტანჯავთ და გაწუხებთ. გთხოვთ, მაპატიოთ და ნურაფერს მისაყვედურებთ ნურც მე და ნურც ჩემს გამსამართლებელთ: მაგათგან უკეთესს ნურაფერს მოელით. მე ყოჩაღადა ვარ და ასე ვიქნები უკანასკნელ სულის ამოსვლამდე. ოჰ, ჩემო ძვირფასო დედავ, ჩემის უკანასკნელ დღეების დაუვიწყარო სიტკბოებავ! შენ, მხოლოდ შენ გესმის გულისცემა შენის შვილისა; მხოლოდ შენ შეგიძლიან გაათბო ჩემი გული შენის ყოვლის შემძლე მამაცობით; თუ მართალია კაცობრიულ სიყვარულის არსებობა, მაშ, შენა ყოფილხარ ამ სიყვარულის მსხვერპლი, შენა ყოფილხარ ჩემი მშვენება და სიხარული! არ მეგონა, თუ ქალის სიყვარული, რომელიც ჩემს დღეში არ გამომეცადა, ასე მწარედ, სიკვდილის წინ ასე არა-კაცობრიულის ალერსით გამიღიმებდა. მთელის ჩემის არსებით გმადლობთ ჩემის ასე გახარებისათვის. მშვიდობით, ყველა ჩემო ძვირფასნო! დეე, ეს სტრიქონები იყოს თქვენთვის თქვენის მოსიყვარულე შვილისა და ძმის უკანასკნელ კოცნად“ (ნოვ.).

### სამღვდელოების კრება

ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ, როგორც იყო, გადასწყვიტა იზრუნოს თავის თავისთვის, რადგან შესწყდა ის წყარო, საიდანაც მათი კმაყოფილი ცხოვრება მომდინარეობდა. აგერ რამდენიმე დღეა, ტფილისში თავი მოიყარა და თავიანთ მდგომარეობის განკარგებაზე ბჭობს. ჯერ-ჯერობით გამოირკვა მხოლოდ ორი რამ: პირველი ის, რომ სამღვდელოებას სამარცხვინოდ მიაჩნია დღევანდელ პირობებში დარჩენა და სურს ამ მდგომარეობას თავი დააღწიოს. ყველაზე ძალიან სასიამოვნო ის გარემოებაა, რომ თვითოეულს მღვდელს შეუგნია, თუ რა მძიმე ტვირთად აწევს სამღვდელოება გლეხს და რა გადაგვარების გზაზე მიჰყავს იგი. მეორე საგანი, რომელიც კრებაზე გამოირკვა, არის ის, რომ სამღვდელოებას ვერ აღმოუჩენია ის ღონის-ძიებანი, რომლებიც მათს ცხოვრებას განაკარგებს და სამღვდელოებას ზნეობრივ სისპეტაკეს შეჰმატებს.

ერთნი იმ აზრისანი არიან, რომ სამღვდელოებამ დღეიდან პირდაპირი კავშირი უნდა შეჰკრას გლეხობასთან, მასთან ერთად წავიდეს იმ ეკლით მოფენილ გზაზე, რომლითაც რუსეთის ხალხის საუკეთესო ნაწილი მიდისო. მეორეების აზრით, პირველად, სადაც ჯერ არს, პეტიცია უნდა გაიგზავნოს და პასუხს ერთ თვეს უცდონ; თუ ეს საშუალება უვარგისი გამოდგება, მაშინ საქმეს სხვარიგად მოუარონ. ხმის უმეტესობით, გუშინ-წინ, საღამოს კრებაზე, ეს აზრი იქმნა მოწონებული. სამღვდელოება ძალიან დიდ დროს ანდომებს უსაფუძვლო და გამოუსადეგარ სიტყვებს. ასე იყო გუშინ-წინაც, მაგრამ ეს კრება მარტო ამით არ იყო შესანიშნავი.

კრებაზე ლაპარაკი აღიძრა იმის თაობაზედაც—მიეცეთ თუ არა გარეშე პირებს სიტყვის წარმოთქმის ნება. დიდი უმრავლესობის სურვილი იყო, გარეშეებსაც მიეღოთ კამათში მონაწილეობა, მაგრამ ეს საგანი თავმჯდომარემ ხმის უმეტესობით არ გადასწყვიტა, რადგან წინა დღით, რადაც მოსაზრებით, დაადგინათ, კამათში მონაწილეობის მიღების უფლება გარეშეთ არ მიეცეთო. თავმჯდომარემ, კრება რომ გათავდა, ხმა-მაღლა გამოაცხადა: კრებას ეხურავს და ახლა გარეშეებს ლაპარაკი შეუძლიანთო. ასეთი უფლება რომ ნამდვილი უფლება არ იყო, გარეშეებმა კარგად გაიგეს და აღარ ულაპარაკნიათ, კრების გაგრძელება საშაბათ დილისთვის გადაიდო.

კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, ყველა მღვდლები დარჩნენ ტფილისში და სხვა გუბერნიის მღვდლებს მოუცადონ და არა მარტო დეპუტატები დასტოვონ, როგორც ერთნი ამბობდნენ. შემდეგ დაადგინეს, ზიზღი გამოუცხადონ იმ მღვდლებს, რომელნიც სოფლებიდან კრებაზე დასასწრებლად არ ჩამოვიდნენ. კრებას წარუდგინა აგრეთვე მოთხოვნილებანი დიაკვნებისა, რომელნიც მღვდლებისაგან შემოსავლის ერთ მესამედს თხოულობენ. გადასწყდა, ეს საგანი განიხილონ მაშინ, როდესაც ყველაფერი გათავდება.

სამღვდელოების კრება ჯერ არ დასრულებულა და დაწვრილებით შემდეგ განვიხილავთ.

დანარჩენ შეგირდებს თუმცა ევალებათ თავის დროზე შემოიტანონ სწავლის ფული, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ესენიც ვერ ახერხებენ შემოტანას. სწავლის ფული ისე ცოტა შემოსდის სკოლას, რომ მის ასაკრებად რაიმე რეპრესიულ ზომების მიღება მეტად უხერხული და შეუსაბამოა. ამიტომ რჩევას საჭიროდ და სადღეისოდ მიაჩნია სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლის ფულის გადახდა სრულიად გაუქმდეს.

12. საშუალო სკოლებთან პანსიონების დაარსება თავის დროზე გამოწვეული იყო მატერიალურის მოსაზრებით. პროვინციაში ხელმოკლე მცხოვრებთათვის საძნელო იყო შვილის ქალაქ ადგილას კერძო ოჯახებში დაბინავება, მისი ჩაცმა, დახურვა, წიგნებისა და სამოსწავლო ნივთების ყიდვა და სწავლის ფულის გადახდა. რამდენადმე მაინც რომ შეესუბუქებინა პროვინციელთათვის შვილის აღზრდის საშუალება, მთავრობამ საშუალო სკოლებთან გამართა პანსიონები და წლიურად შესატანი ფასიც, შედარებით, მცირედი დააწესა. ამნაირად, პანსიონების დაარსება, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, უმთავრესად მატერიალურ მოსაზრებით იყო გამოწვეული და, მართლაც, ამ მხრით პანსიონებმა თავისი დანიშნულება კიდევაც შეასრულეს და დღესაც, შედარებით, პირნათლად ასრულებენ. პანსიონების არსებობის საფუძვლიანობას ზოგიერთნი პედაგოგნი პედაგოგიურის მოსაზრებითაც ამართლებდნენ. ამ პედაგოგების აზრით, სკოლის უახლოესი გამგენი უფრო მეტს გავლენას იქონიებენ პანსიონერებზე, გაკვეთილების მომზადების საქმეს უფრო კარგად მოაწესრიგებენ, მოსწავლე მთელის დღის განმავლობაში მასწავლებლებისა და აღმზრდელების გავლენის ქვეშ იქმნებიან, რაიცა ყმაწვილების გონებრივად და ზნეობრივად განვითარებას ერთი-ორად ხელს შეუწყობსო. მაგრამ ცხოვრება თვით გამოცდილ პედაგოგებზე უფრო სასტიკი კრიტიკოსია. ხანგრძლივმა პრაქტიკამ ნათლად დაგვანახვა, რომ პანსიონებმა სრულიად ვერ გაამართლეს ზოგიერთ პედაგოგებისაგან წინასწარმეტყველი იმედები. ცხოვრების სინამდვილემ ნათელჰყო, რომ პანსიონებში მოსწავლეები მეტად ცუდ ყოფაქცევისანი არიან, მრავალ უზნეო ჩვეულებას ითვისებენ, მეტად ცუდად მოქმედებენ მომსვლელ მოსწავლეებზე, სისტემატიურად ზარმაცობენ, რის გამოც მომსვლელ მოსწავლეებთან შედარებით, სწავლაში წარმატება სრულიადაც არ ეტყობათ. მიზეზი ასეთის სამწუხარო შედეგებისა მხოლოდ და მხოლოდ პანსიონების ყაზარმული ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ რჩევას პანსიონის არსებობა სათავად-აზნაურო სკოლასთან პედაგოგიურის მოსაზრებით მავნებლად მიაჩნია და ამის გამო კიდევაც უნდა მოისპოს. მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელნიც ამჟამად თავად-აზნაურობის სრულს ან ნახევარს ხარჯზე იზრდებიან, დაბინავებულ უნდა იქმნან საიმედო ოჯახებში, არა უმეტეს სამის შეგირდისა თვითოეულს ოჯახში.

13. რადგან განახლებულ სკოლაში პანსიონი უნდა გაუქმდეს, აშკარაა, ეკონომის მოვალეობა შესამჩნევად შემცირდება. ამიტომ რჩევას შესაძლებლად მიაჩნია, სკოლის საქმეების მწარმოებლისა და ეკონომის თანამდებობა შეაერთოს, ერთსა და იმავე პირს ჩააბაროს, რომელსაც წლიურად 1800 მან. უნდა დაენიშნოს და ამასთანავე უფასოდ მიეცეს ბინა, შეშა და განათება. პენსიის მიღების უფლება მომავალ საქმის-მწარმოებელ-ეკონომს მიენიჭოს საპენსიო წესდების მიხედვით.

14. პედაგოგიური რჩევა სრულიად დამოუკიდებლად განაგებს სკოლის შინაურს საქმეებს მხოლოდ იმ საზღვრებში, რომელსაც აღუნიშნავს მას საზოგადო კრება; პედაგოგიური რჩევა განახორციელებს სკოლაში იმ დედა აზრს, იმ პროგრამას, რომელსაც მოიწონებს საზოგადო კრება და წლის განმავლობაში მისცემს პედაგოგიურ რჩევას სახელმძღვანელოდ. ყოველ წლის ბოლოს პედაგოგიური რჩევა წარუდგენს საზოგადო კრებას სკოლის სრულს ანგარიშს და მომავალ მოქმედების განზრახვათა პროგრამას განსახილველად და სათანადო დასამტკიცებლად. დამოუკიდებელი პედაგოგიური რჩევა განაგრძობს სკოლაში თავის მოღვაწეობას მანამდის, სანამ საზოგადო კრება არ გამოუცხადებს მას უნდობლობას. როცა პედაგოგიური რჩევა ვერ შესძლებს დასთანხმდეს საზოგადო კრების გადაწყვეტილებაზე, რჩევის წევრნი, თუ ამას საჭიროდ დაინახავენ, in corpore სკოლაში სამსახურს თავს ანებებენ და საზოგადო კრება ირჩევს ახალს მასწავლებლებს თავის სასკოლო პროგრამის განსახორციელებლად.

15. პედაგოგიური რჩევა უმორჩილესად სთხოვს საზოგადო კრებას, დასახელებულ სკოლის მომავალ ცვლილებათა პირადად დასაცველად და დასასაბუთებლად კეთილ ინებოს და მისცეს მასწავლებელთა კორპორაციის წევრთ უფლება საზოგადო კრებაზე სათათბირო ხმით მონაწილეობის მიღებისა*).

---

*) ეს „მოხსენება“ პედაგოგიურმა რჩევამ წარუდგინა სკოლის გამგე „კომიტეტს“ საზოგადო კრებისათვის მოსახსენებლად.

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

გუშინ, 31 მაისს, იყო გაგრძელება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებისა. დღესაც იმაზე ლაპარაკობდნენ, რაზედაც გუშინ. ხანგრძლივის ლაპარაკის შემდეგ, გადაწყვეტილ იქმნა, ბანკის მდგომარეობის გამოსარკვევად მასალების შეკრებისა და დაბეჭდვის ვადა 12 ივნისისთვის გადაიდოს.

შემდეგ ლაპარაკი გაიმართა იმ შუამდგომლობაზე, რომელიც გასწია გორის მაზრის წინამძღოლმა თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა. გორის მაზრის თავად-აზნაურობა თხოულობს, რამე დახმარება აღმოუჩინოს ბანკმა გლეხთა მოძრაობისაგან დაზარალებულთ, რადგანაც მათ არავითარი საშუალება აღარა აქვთ დროზე შეიტანონ სარგებელი. ამ კითხვის გადაწყვეტის დროს საადგილმამულო ბანკის რწმუნებულნი ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი ჯგუფი ირწმუნებოდა, რომ სარგებლის შეტანა შეიძლება გადაიდოსო; მეორე ჯგუფი კი უარს ამბობდა. თ-დმა ი. გ. ჭავჭავაძემ სთქვა: რადგანაც სარგებლის ფული მეტად დიდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბანკისთვის, მისი დაკლება ბანკს გააკოტრებსო. რომ ამისთანა განსაცდელი თავიდან ავიცილოთ, რაიმე სხვა საშუალებას უნდა მივმართოთო. ამისთანა საშუალებად თ-დს ი. გ. ჭავჭავაძეს მიაჩნია ის ფული, რომელიც გადადებული აქვს თავად-აზნაურთა საკრებულოს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის. თ-დი ი. გ. ჭავჭავაძე ურჩევს თავად-აზნაურებს, ისესხონ ეს ფული სარგებლის შესატანად და მერე ვალი წვრილ-წვრილად გადაიხადონ. ამისთანა საშუალების წინააღმდეგ ამხედრდა ბ-ნი მ. მაჩაბელი, რომელიც ამტკიცებდა, ბანკს უნდა ჰქონდეს და კიდეც აქვს საშუალება, თვითონ მოაწესრიგოს ეს საქმეო.

ბევრი კამათის შემდეგ რწმუნებულთა კრებამ დაადგინა, რომ ბანკს არავითარი საშუალება არა აქვს თვითონ დააკმაყოფილოს თავად-აზნაურობის თხოვნა.

დანარჩენ კითხვების გადაწყვეტა გადაიდო შემდეგ სხდომისთვის.

## კორესპონდენცია

**ქ. ოზურგეთი**, 29 მაისი. ამ დღეებში აქ ერთი მეტად სასიამოვნო და ჩვენი დროის დამახასიათებელი ამბავი მოხდა: ერთი კუთხის პატარა, არა უმეტესს 10—14 წლის ბავშვებმა, კრება მოახდინეს თავიანთ „საჭირ-ბოროტო კითხვების“ გამოსარკვევად! კრებას დაესწრო 30-მდე ბავშვი. პატარა „ორატორების“ პირველი სიტყვები ის იყო, რომ ჩვენ ჯერ პაწია კი ვართ, ამხანაგებო, მარა, თუ აქედან არ შევუდექით პატიოსნებას, გონების განვითარებას, ხასიათის გასწორებას და სხვა ამგვარებს, მერე გვიან იქნებაო და ამაში დიდრონებს უნდა მივყვეთო!..

სანამ კრება რაიმეს დაადგენდა, საჭიროდ დაინახა ერთი იქ მყოფ ბავშვის კრებიდან გაძევება, რადგან დიდი „ეშმაკი“ და ცუდი ენის პატრონი ყოფილა. უთხრეს თუ არა ბავშვს „წადიო“, ბავშვმა მართო საშინელი ტირილ-ყვირილი, დაემხო მიწაზე და იფიცებოდა: „ძმებო! ნუ მიზამთ ამას, ნუ დამღუპავთ, ნუ მომჭრით საქვეყნოთ თავს და სიტყვას გაძლევთ, ყველაფერში თანაგრძნობა და მორჩილება გაგიწიოთ“!.. კრებამ შეისმინა ვედრება, დაადებინა სიტყვა, რომ გასწორდეს, და მისცა ნება კრებაზე დასწრებისა „დიდის მსჯელობის“ შემდეგ დაადგინეს: „ყველა ჩვენგანს ევალება, რომ არავითარი ისეთი არ ჩაიდინოს, რაიც უზნეობას შეადგენს; ცუდი სიტყვებით არავის მიმართოს, არ „იეშმაკოს“, ამხანაგებს არ წაეჩხუბოს, არ შეაგინოს, მშობლების გაგონე იყოს, არაფერი არ მოიპაროს, უთავბოლოდ თამაშობის ნაცვლად პატარა წიგნაკები იკითხოს. „ახლანდელ ამბებში“ დიდებს არ ჩამორჩნენ და მათსავით იმოქმედონ. ვინც დაარღვევს ამას, ამხანაგური სამართლით დაისჯება. არავინ არ გაბედოს ერთი მეორეს „ჩასმენა“, რაიმეს გამომჟღავნება, თორემ სასტიკად დაისჯება—„ბოიკოტი“ გამოეცხადებაო. ამ თავის გადაწყვეტილებაზე ყველას პირობა ჩამოართვეს, რომ დადგენილებას არ უღალატებენ. ამოირჩიეს საჭირო პირები—პატარა ათის თავები—და კრება „ურას“ ძახილით დაიშალა... ყველა ამას ჩუმად შორიდან ვუყურებდით (დიდები არ დაისწრეს კრებაზე) და ჩვენ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა...

ერთი ახირებული ოფიცერი გამოერია აქ დაბანაკებულ ჯარში, რომელმაც ბევრი კომედია მოაწყო ბაზარში და კინაღამ დრამით არ დაასრულა. ჭკვიანად კი იქცეოდა ეს ოფიცერი: შედიოდა მაღაზიაში, ეყიდდა, მაგალითად, სამი მანათის საქონელს, უტოვებდა ორ მანათს, მერე მოახტებოდა ხოლმე ცხენს, რომელიც ყოველთვის თან ჰყავდა და ჰქროდა! მისდევდა უკან ნოქარი ან ვაჭარი, მაგრამ სად მოეწეოდნენ? რამდენჯერმე ჩაიდინა ასეთი საქმარო საქმე ამ ოფიცერმა. და ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ვაჭრებმა თხოვნით მიმართეს შტაბს, ეს ოფიცერი მოგვაშორეთ, თორემ მის მოქმედებას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო. შტაბმა გამოიძია ოფიცრის ნამოქმედარი, წანაგლეჯი აზღვევინა და აქედან სხვაგან გადაიყვანა!

29 მაისს, სად. ნატანებიდან ეტლით მომავალ მაზრის უფროს ქელბაქიანს დახვდნენ ვიღაცეები და გაძარცვეს: წაართვეს ხმალი, რევოლვერი, ფული, საათი და სხვადასხვა ნივთები...

რადგან „ხაზეინებმა“ მეპურეების მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილეს, 29 მაისს, მეპურეები გაიფიცნენ...

ჭი-კაი.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რ-ო! საძნელოა ამ აუტანელ და გაჭირვებულ დროს ისეთის ძვირფასის, ისეთის გულკეთილი ხალხის მოამაგე ადამიანის დაკარგვა, როგორიც იყო შამშე გელოვანი! საძნელოა მით უმეტეს, რომ ის ამ ქვეყნიდან აღიგავა თავად გარდაფხაძეებისაგან, რომლებმაც დღეს თავისი უგვანო და მხეცურ საქციელით ზიზღი და კრულვა დაიმსახურეს ყოველ პატიოსან ადამიანისა. ზიზღი და კრულვა მსგავს გმირებს, რომელთა საზარელი განკითხვის დღე მოახლოვებულია, მთელ კუხის, გუბის, ჯიხაშის, მათხოჯის და ხონის საზოგადოებათაგან, ხოლო თანაგრძნობა და სიყვარული შამშეს და შამშეს მსგავს ხალხისათვის თავდადებულ გმირებს.

ილია ბახტაძე, იასონ ჭელიძე, სიმონ ელგუჯაშვილი, გაბრიელ ბერიძე, სამსონ ბახტაძე, ანდრიაძე, მითიჩკა ჩხენკელი, მინა ჭავჭანიძე, იაკობ დვალიშვილი, დათიკო კაპანაძე, მიხეილ გორდაძე, ალექსანდრე ქავზინაძე, კირილე ჯიქია, ვერა ქუთათელაძე, კირილე მაჭარაძე, ს. ჭავჭანიძე, გიორგი მაჭარაძე, ი. გორდაძე, ივანე ჭავჭანიძე, სანოძე, ა. ბახტაძე, ალექსანდრე ვაჭარაძე.

II

ბ-ნო რ-ო! „ივერიის“ № 87-ში მოთავსებული იყო წერილი ნიკოლოზ ციციშვილისა, რომელიც ვრცლად ახასიათებდა თავად-აზნაურთა „ბრწყინვალე“ დრუჟინის რაინდულ საქციელს. დასასრულ ავტორი დასძენდა, რომ მილიციონერთა რიცხვში არიან აგრეთვე სტუდენტები და მათ შორის სტუდენტი ა. დ. ციციშვილიო. რადგანაც არა ერთმა და ორმა მომმართა განცვიფრებით, თუ როგორ მოხდა, რომ მე მილიციაში მოვხვდი, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რომ მე—ა. დ. ციციშვილს—ნიჩბისელს, არავითარი კავშირი არ მქონია და არცა მაქვს ამ „ბრწყინვალე“ დაწესებულებასთან, ხოლო წერილის ავტორს ჰყავს სახეში ა. დ. ციციშვილი—ქვემო-ხვედურელი.

ა. დ. ციციშვილი—ნიჩბისელი.

III

ბ-ნო რ-ო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო საზოგადოებას შემდეგი: ბევრ ჩემს ნაცნობს ჰგონია, ვითომ მე ის გ. მაჩაბელი ვიყო, რომელმაც სახელი გაითქვა თავად-აზნაურთა კრებაზე და „ივერიის“ რედაქტორთან მომხდარ ინციდენტით. ამით ვაცხადებ, რომ მე ზემოხსენებულ გიორგი მაჩაბელთან არა თუ საერთო არა მაქვს-რა, არამედ პირადად იმას არც კი ვიცნობ.

გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი.

## ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

31 მაისი

**ვაშინგტონი**, 30 მაისი. (რეიტერი). ოფიციალურად იუწყებიან, გრაფ კასსინიმ რუზველტი ინახულა, რომ აუწყოს რუსეთის თანხმობა პრეზიდენტის წინადადებაზე და გამოუცხადოს, რომ რუსეთი დანიშნავს თავისს რწმუნებულებს ზავის შესახებ იაპონიასთან მოსალაპარაკებლადო. ამჟამად იმის სჯა-ბაასში არიან, სად დანიშნონ ადგილი მოლაპარაკებისთვის.

**ტოკიო**, 30 მაისი. ოფიციალურად. იაპონელთა ცხენოსნებმა განდევნეს რუსის ცხენოსნები და დაიჭირეს სინტაუ და სიპინთანი, სიაოპიტანის მაღლობის ჩრდილოეთით. რუსები დამარცხდნენ აგრეთვე სლაოჩენძისა და კიანიაკოპენის მახლობლადაც. ყველა ეს ადგილები მონგოლიის საზღვრის მახლობლადაა, კანპინსა და ჩენშიატუნს შუა.

**პარიზი**, 31 მაისი. ხმელთაშუა ზღვის ესკადრის უფროსად ნამყოფმა ადმ. ბიენემემ გამოაქვეყნა წერილი ამ სათაურით: „დიდება ადმ. როჟესტვენსკის“, სადაც ბიენემე სალამს უთვლის საფრანგეთის მეზღვაურთა სახელით როჟესტვენსკის და აქებს მისს მამაცობას.

**გუნჯულინი**, 31 მაისი. გენერალი სილვესტრი, საფრანგეთის სამხედრო მისსიის უფროსი, სტოვებს ბრძოლის ველს.

**სტამბოლი**, 30 მაისი. გუშინ შუადღისას სტამბოლში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რამაც აუარებელი სახლი დააზიანა და ბევრიც სრულიად დაანგრია. ძლიერ დაზიანდა ბაღები, მინდვრები, აგრეთვე გემები და ნავები. რამდენი კაცი იმსხვერპლა, ჯერ არ იციან. ხონთქრის თაოსნობით დაზარალებულთ შემწეობა აღმოუჩინეს. დღეს დილით ამოვარდა ქარ-ბუქი, რასაც სეტყვაც მოჰყვა. სეტყვა მტრედის კვერცხის ოდენა იყო და დიდი ზიანი მოიტანა.

**ვლადიმირი**, 30 მაისი. სახელმწიფოს კეთილდღეობის პროექტის შემმუშავებელმა კომისიამ დღეს ქალაქის საბჭოში შეიტანა წინადადება ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ.

**ბელგრადი**. პროგრესისტთა მიტინგზე ნოვაკოვიჩმა განმარტა ამ პარტიის პროგრამა მომავალ არჩევნების შესახებ და თხოულობდა, კონსტიტუცია უნდა გადასინჯულ იქმნას, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება უთავბოლობა მოისპოს ქვეყანაში, შინაგანი და საგარეო პოლიტიკა რიგიანად მოეწყოს და ერთობა დამყარდეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სლავიანთა შორისო.

**პეტერბურგი**. ხოლერასა და შავ ჭირთან საბრძოლველად დაარსებულმა კომისიამ გააუქმა 29 ივნისის და 25 ივლისის 1904 წ. განკარგულებანი და დაადგინა, გაიხსნას სპარსეთის საზღვრის გზა მგზავრთა და საქონლის თავისუფალ მიმოსვლისათვის.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

**ბათუმს**: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ. 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის,

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

**შორაპანამდე**: ნაშუადღევის 1 ს. 20წ. (2 ს. 18 წ.).

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი ქ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი . ქიმი ტატეოსიანცი.

**დიდუბის განყოფილება.** ექ. შერბინა.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

პირველად ქართულს ენაზე
✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦
უცხო ←— სიტყვათა ლექსიკონი
რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. „**უცხო ანდაზები და წინადადებანი**, რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ **1 მან.**, საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. I. З. Имедашвили.
(10—6 —5).

Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.